№ 25 ოთხშაბათი, 17 დეკემბერი 1908 წ. № 25

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

[illegible] „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განაცხადები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

Библиотека

## გაზ. „დროების" კანტორისაგან

„დროების" კანტორა უმორჩილესადა სთხოვს იმ ქალაქელ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთი არ მიუღიათ აცნობონ ეს უსათუოდ კანტორას. გაზეთის დროზე მიუღებლობა გამოიწვია იმან, რომ დამტარებლებად ახალი კაცები არიან, რადგან ძველებს ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდათ და ამიტომ კანტორამ დაითხოვა.

---

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

# დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელზე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის სადუმოს" დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთბაშად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური მატარა

## კალენდარი 1909 წლისა

**ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:** „დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქარუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

◀ **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** ▶

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში მიიღება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, ხამარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლენამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—ნ.—13)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსანატი, ხამარდე შილის, ბუშტის და საიმკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—15)

**ექიმი** ნ. მ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—10)

**ექიმი** კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—ნ.—22)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდენის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—52)

**ექიმი** თვალისა ზ. მ. ცხვედაძე დერპტის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—5)

**ექიმი** გ. ე. ხოჯაპარუსოვი ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, სამარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და მამაკაცებისათვის 11—12 ს. ხოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—19)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—27)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—51)

---

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (ე)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

1909 წლისათვის მიიღება ხელის მოწერა სალიტერატურო, სამეცნიერო და სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივ ყოველ კვირეულ ჟურნალ

## „შინაურ საქმეებ"-ზე

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „შინაური საქმეები". (ა—უ.—2)

---

**წარმოდგენა № 2.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 2.**

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს 1908 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ

## სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად დ. ერისთავისა.

**მონაწილეობას იღებს მთელი დასი.**

**ადგილების ფასი:** ლოჟები 15 მ.-დან 8 მ.-მდე, პარტერი 5 მ.-დან 1 მან. 25 კ.-მდე, გალერეა 60 კ.-დან 20 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „მეგობრობა" ნ. მიქამშვილისა, „ცელები" ლემონიესი.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

## „გოფმანის ზღაპრები"

მონაწილენი: ქ-ნნი დრუზიაკინა, კალინინა მეორე, ლავროვა, ოსიპოვა; ბ-ნნი კარქევინი, კარელინი, როსსოლიმო, ლუტჩევი, როზანოვი, ჩერნოვი და სხვ.

დირიჟორი **ანტონ ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** ხვალ ბენეფისი თეატრის კასსირის მ. დ. სტრელკოვა-პლიამისა—„მხიარული ქვრივი".

---



## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ პირველ ხარისხოვანი მოთამაშენი—ცხენოსნები, გიმნასტები, კლოუნები და სხვ. სხვათა შორის დღეს გამოვლენ ინგლისელი კომიკები **ვოოდი და მეი.** გამოვა აგრეთვე ეკვილიბრისტი და გიმნასტი **სტეპანოვი,** კლოუნი **რიჩარდ რიბო** და მისი დასი ძაღლებისა. დასასრულ დიდი ბალეტი. დიწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი სწორედ საღ. 8 ნახევარ საათზე.

ახლო მომავალში ბენეფისი რიჩარდ რიბოსი.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

---

**კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა**

აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების

## ნარზანის და ესენტუკისა № 20

სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.

Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страховаго Общества. Телефонъ N 148.

**ფასები საწყობში:**

ვაგონობით (120 ყუთი) . 1 მ. 80. კ. ყუთი
ყუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „
ნახევარ-ბოთლობით ჭურჭლიანად 14 კ.—

(12—5—10) დირექტორი **ს. ტილიჩეევი.**

---

## ძმ. ა. და ი. ძლოჰანების მაღაზიაში

## ლიკვიდაციის გამო

დანიშნულია **საბოლოო ვაჭრობა** ყველა საქონლის გასასყიდად

გოლოვინის პროსპექტზე.

## ფასები

## ყველა საქონელზე ძალზე იაფია.

(ნ.—3)

---

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ამ წლის უკანასკნელი ნომერი ჟურნალ

## „განათლებისა"

**შემდეგის შინაარსით:**

1. ედმონდ-დე-ამიჩისი. 2. მასწავლებლის თავ-გადასავალი, დე-ამიჩისის თხზულებიდან. 3. წითელი სარჩული, მოთხრობა ძველი გურულისა. 4. მთების ერთობა, ლექსი ვაჟა-ფშაველასი. 5. ცხოვრება და ხელოვნება, ქართული ენის დაცემა, კოტა აბაშიძისა. 6. ღმის შემდეგ (საფრანგეთის წარსულიდან), ლექსი ი. ევდოშვილისა. 7. თავისუფალი აღზრდა ბავშვის ფსიხოლოგიის მიხედვით, კახაბერისა. 8. აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა ლ. ბოცვაძისა. 9. ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიური აზრები, Ignotus-ისა. 10. პროფესორი პეტრიაშვილი და ოდესის უნივერსიტეტი, ს. ავალიანისა. 11. პროფესორ პეტრიაშვილის ხსოვნას, გ. ჯავახიშვილისა. 12. სქესობრივი საკითხი, ნიკოსი. 13. ბიბლიოგრაფია: დახასიათებანი ხოლამდე აღმოკვლევა ლაზურსკისა-ხანისა. ელენ კეი—დედა და შვილი, ს. ავალიანისა. 14. წერილი რედაქციის მიმართ ი. ფანცხავასი. 15. რედაქციისაგან.

**ფასი თითო წიგნისა 50 კაპ.** (3—უ—2)

**სამკურნალო** ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მშობიარეთა ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

**ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე**—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

**ექიმი ივ. ბოკერია**—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია მეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—ნ.—11)

---

**ტფილისი, 17 დეკემბერი.**

სახელმწიფო ბანკში დაგირავებულ მამულების ბედმა ერთხელ კიდევ დააყენა ქართველ საზოგადოების წინაშე, მთელის თავის ღრმა მნიშვნელობით, ტერიტორიის საკითხი. ბანკში, როგორც ამბობენ, წელს ზოგიერთი მამული საჯარო ვაჭრობიდან მოიხსნება. ეს შეღავათი ნამესტნიკის შუამდგომლობით მიღებული წყალობაა. მაგრამ წყალობას თავისი საზღვარი აქვს და იგი ვერ შეაჩერებს ეკონომიურ და სოციალურ მიზეზებით გამოწვეულს მიწის ამოძრავების პროცესს. მიწისთვის ქართველი თავად-აზნაურობა შეუფერებელი პატრონი აღმოჩნდა და იგი სხვა ახალ პატრონს დაეძებს. თავად-აზნაურობას ამ საქმეში საკუთარი წოდებრივი ანუ კლასსური ინტერესები აქვს. ჩვენ ამ ინტერესების თვალსაზრისით არ უცქერით საგანს. ჩვენ იმ თავად-აზნაურთა ბედ-იღბალი კი არ გვაინტერესებს, რომელთაც ხელიდან მამული უსხლტება, არამედ თვით ამ მამულის ბედი. ვის ხელში გადავა ამოძრავებული მიწა? ვინ შეიქნება ქართველ თავად-აზნაურობის მემკვიდრე?

ჩვენი ეროვნული ცხოვრება რომ ნორმალურს კალაპოტში იყოს ჩაყენებული, ამ კითხვის პასუხს ხალხის ეკონომიური აგებულება მოგვცემდა. მაგრამ სწორედ იმიტომ რომ ეროვნული ინტერესები თავისებურ ელფერს აძლევენ ჩვენის ცხოვრების ყოველს მხარეს, სწორედ ამიტომ საადგილ-მამულო საკითხის გადაწყვეტის დროსაც ანგარიშში უნდა გაუწიოთ არა მარტო ეკონომიურს, არამედ აგრეთვე ნაციონალურს ინტერესებს. ეკონომიურის თვალსაზრისით მიწა იმ საზოგადოებრივ წრეების მფლობელობაში უნდა გადავიდეს, რომელნიც მეტს ნაყოფს გამოაღებინებენ მას, უკეთ დაიმუშავებენ, უკეთ მოუვლიან. ამ მხრივ საქართველოში პირველი ადგილი ქართველ გლეხებს უჭირავთ. ჩვენში მიწას სხვა მომვლელი და სხვა მკეთებელი გარდა გლეხისა არა ჰყავს. ვისაც აინტერესებს, შეუძლიან სტატისტიკურ ცნობებს გადაავლოს თვალი და ჰნახავს, რომ უდიდესი პროცენტი მაღალ კულტურის მიწებისა გლეხების მამულებშია და არა სხვა საზოგადოებრივ წრეების მამულში. რა სახის და რა ფორმისა უნდა იყოს გლეხების მფლობელობა—ეს სხვა საკითხია, მაგრამ წმინდა ეკონომიური ინტერესი მაინც იმას მოითხოვს, რომ მიწა გლეხის მფლობელობაში გადავიდეს.

ნაციონალურ ინტერესების თვალსაზრისით როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვაგან მიწის მობილიზაციის დროს ყოველთვის ერთი და იგივე პრინციპი გამოჰხატავს პოლიტიკურ სამართლიანობას. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ მიწის მობილიზაციამ მცხოვრებთა ეროვნული აჰრელება არ შეჰქმნას. მთელის კაცობრიობის და მთელის ქვეყნის ისტორია გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ერთს ტერიტორიაზე სხვა და სხვა ეროვნების ხალხია დასახლებული, ყოველთვის მწვავე ნაციონალური ბრძოლა სწარმოებს, ისეთი ბრძოლა, რომელიც დიდძალს ენერგიას ახარჯვინებს მებრძოლთ; ისე, რომ კულტურული წარმატება არც ერთის ნაბიჯით არ მიდის წინ. ამ თვალსაზრისით საქართველოს თავად-აზნაურთა ამოძრავებული მიწა-წყალი ისევ საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთა ხელში უნდა დარჩეს ე. ი. ქართველ გლეხებს უნდა გადაეცეს მფლობელობაში.

ამ გვარად, როგორც ეკონომიური, ისე ეროვნული თვალსაზრისი ერთსა და იმავე დასკვნას გვიკარნახებენ. ეს დასკვნა უნდა შეიქნეს ჩვენის პრაქტიკულის მოქმედების უმთავრეს დირექტივად. იგი სრულიად ეთანხმება ჩვენს შეხედულებას მშრომელ ხალხის ინტერესების შესახებ და პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი ეროვნული იდეალისაგან. რამდენადაც ეს დასკვნა ეროვნულ თვალსაზრისიდან წარმოსდგება, იმდენად იგი ეთანხმება თავად-აზნაურობის მისწრაფებასაც, მაგრამ რამდენადაც იგი მშრომელ ხალხის ინტერესების გამოხატულებაა, იმდენად იგი ეწინააღმდეგება თავად-აზნაურულ იდეალებს. ეკონომიურ ნიადაგზე ამ დირექტივის გატარება ცხოვრებაში პირისპირ შეახვედრებს ერთმანეთს თავად-აზნაურობას და მშრომელ გლეხობას. ეს დაპირისპირება ჩნდება იმ საკითხების ნიადაგზე, თუ **როგორ და რა საშუალებით** უნდა გადაეცეთ გლეხებს თავად-აზნაურთა მამულები. მემამულეთა ინტერესი მოითხოვს მიწების გაყიდვას მაღალ ფასებში, გლეხობის ინტერესი კი პირიქით ან უსასყიდლოდ მიწების მიღებას და ან დაბალ ფასებში შესყიდვას.

ამ კლასსურ ანუ წოდებრივ ინტერესთა წინააღმდეგობასთან ერთად თავს იჩენს კიდევ ნაციონალურ ინტერესთა წინააღმდეგობა. ამ მხრივ ქართველ თავად-აზნაურობის ქართველ გლეხობის მისწრაფებას გზაზედ ის მიმართულება ჰხვდება, რომელიც საქართველოს ტერიტორიას რუსეთთან გადმოსახლებულ გლეხობისათვის ჰნიშნავს. ბრძოლა მიწის საკითხების გარშემო რთულდება. ნაციონალური და ეკონომიური ინტერესები ერთმანეთში იხლართებიან. ბრძოლის ველის მარჯვენა და მარცხენა ფრონტზე სდგანან ერთის მხრივ საქართველოს მშრომელი ხალხი, მეორეს მხრივ უცხო ტომის ხალხთა ჩასახლების მოტრფიალენი. ქართველი თავად-აზნაურობა შუაში რჩება და ხან ერთის მხრისაკენ გაიწევს, ხან მეორე მხრისაკენ. ზოგჯერ გადმოსახლების მიმდევარნი ამოძრავებულ მიწებზე ფასების აწევით მემამულეებს თავისკენ ეწევიან, ზოგჯერ კი ფასების დაწევით გლეხებისაკენ მისწევენ. ჯერ-ჯერობით ჩვენს ქვეყანაში გადმოსახლების მოტრფიალეებმა თავად-აზნაურთა მიწებზე ფასების დაწევით ანტაგონიზმი შეჰქმნეს თავად-აზნაურობასთან. ამ ნიადაგზე აღმოცენდა, ჩვენის შეხედულებით, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო კომისია, რომელსაც ეს მეორე წელიწადია გლეხობისაკენ უჭირავს თვალი და სცდილობს მასთან ერთად გასცეს პასუხი იმათ, ვინც ათასგვარ საშუალებას ხმარობს, რათა გააიაფოს მიწა და დაბალ ფასებში შეისყიდოს თავადაზნაურობის მამული გადმოსახლების საადგილ-მამულო ფონდისთვის. ვიდრე ქართველი გლეხობა თავადაზნაურთაგან მამულის შესყიდვას აღმაცერად უცქეროდა, ვიდრე მიწის ბაზარზე ერთად ერთი მსყიდველი საგლეხო ბანკი იყო, გადმოსახლების მოტრფიალეთა მთელი გულისყური იქითკენ იყო მიქცეული, რომ გაჭირვებულ მემამულისაგან იაფად შეესყიდათ მამული, მაგრამ რამდენიც უფრო მიეტანება გლეხი მიწის ბაზარს, იმდენად მიწის ფასიც გაიზრდება და ამასთან ერთად შეიცვლება საგლეხო ბანკის და სხვა მსგავს დაწესებულებათა ტაქტიკაც: გაიაფებს ნაცვლად ეს დაწესებულებანი თანდათან გააძვირებენ მიწას. მაშინ

უეჭველია თავადაზნაურობის სიმპატიები სხვა მხრივ გადიწყევენ და მის ახლანდელ საადგილმამულო კომისიასაც დაეკარგება თავისი raison d'être.

ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესების ხლართი მიწის საკითხის გარშემო უკვე დღითი დღე რთულდება და ვისაც არა ჰსურს ამ ნიადაგზე დამარცხებული დარჩეს, ის ეხლავე უნდა შეემზადოს ყოველგვარ შემთხვევის დასახვედრად. გადამოსახლების მოტრფიალენი და თავად-ზნაურობა სხვა და სხვა დაწესებულებებს აარსებენ თავის ეკონომიურ და ნაციონალურ ინტერესების დასაცველად, ჩუმად არის მხოლოდ ქართველი გლეხობა, რომელსაც მიწის საკითხი ყველაზე მეტად შეეხება როგორც ეკონომიურად, აგრეთვე ნაციონალურად.

მშრომელ ხალხის მოსარჩლეობა თითქმის ყველა ჩვენებურ მოღვაწეს ენის წვერზე აკერია, ეროვნულ გამოღვიძებას და აღორძინებასაც ყველა ფაქტად სცნობს, მაგრამ ქართველ მშრომელ გლეხობის თვალსაზრისით საადგილ-მამულო საკითხის ნიადაგზე მოქმედებისთვის კი არავინ თავს არ იცხელებს. ჩვენის ღრმა რწმენით ვერც სადგლეხო ბანკი და ვერც თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისია ვერ აასრულებენ ან, უკეთ რომ ვთქვათ, არ აასრულებენ იმ საქმეს, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ეკონომიური წარმატება და ეროვნული სიმტკიცე, ე. ი. ვერ დაიცავენ ღირსეულად ქართველ მშრომელ ხალხის ინტერესებს საადგილ-მამულო საკითხში. ამისთვის საგანგებო დაწესებულებებია საჭირო. საჭიროა, მაგრამ... როდის შევიგნებთ ამ საჭიროებას, როდის მოვკიდებთ საქმეს ხელს?—იქნება მხოლოდ მაშინ, როცა უკვე დაგვიანებული იქნება...

## აკაკის იუბილეი

**აკაკის დღე ქუთაისში.** თუმცა ქუთაისმა და მთელმა დასავლეთმა საქართველომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ტფილისის საერთო დღესასწაულში და აკაკის იუბილეი 7 დეკემბერს იდღესასწაულა, მაგრამ ქუთაისმა მოისურვა ცალკე ედღესასწაულნა მგოსნის 50 წლის მოღვაწეობა და ამ დღედ 14 დეკემბერი დაინიშნა. ამ დღესასწაულს წინ უძღოდა ბ-ნ გრ. რობაქიძის ლექცია: „აკაკი და მისი პოეზია“. ლექცია ყველას ძალიან მოეწონა.

მეორე დღე, 14 დეკემბერი დაუვიწყარ დღედ უნდა ჩაითვალოს ქუთათურებთათვის. ამ დღეს ხალხის სიხიარულეს და აღტაცებას თითქოს ბუნებაც-კი იზიარებდა. მშვენიერი, მშრალი, თბილი გაზაფხულისებური დღე გულს ზედ მეტად აღფრთოვანებდა. დილიდამვე, ბულვარსა და მის ახლო-მახლო ქუჩებში იწყო ხალხმა დენა. მალე გაივსო ბაღი, ქუჩები, სახლის აივნები, სახურავები. საკრებულო ტაძარში, სადაც მხოლოდ ბილეთებით უშვებდნენ ხალხს, ტევა აღარ იყო. მეათე საათზედ გამოჩნდა იუბილიარის ეტლი. ტაშის გრიალსა და „ვაშას“ ძახილთან ერთად ჰაერში გაისმა დუდუკის ხმა.

ეკლესიიდან, პარაკლისისა და სიტყვების წარმოთქმის შემდეგ იუბილიარი გაემართა თეატრისაკენ, სადაც უთვალავი ხალხი დილიდამვე ელოდებოდა. დილის დღესასწაული დაიწყო 12 საათზე. ფარდის ახდისას თვალწინ გადიშალა საუცხოვო სურათი. მგოსნის სავარძელს გარს ეხვივნენ მცირე წლოვანნი ქალნი და ვაჟნი, თეთრ ტანისამოსში გამოწყობილნი, თაიგულებით ხელში. სცენაზედ სამასზედ მეტი წარმომადგენელი იმყოფებოდა. მოსულიყვნენ დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხიდან: რაჭა, ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, სვანეთი—ყველას წარმომადგენელი იყო. იყვნენ დაბა-სოფლებიდან, ადგილობრივ დაწესებულებათაგან, მუშებისაგან, გლეხებისაგან სხვა და სხვა ეროვნებათაგან და მრავალნი სხვანი. გამოჩნდა თუ არა მგოსანი, მას სადღესასწაულო აღტაცებით შეეგება ხალხი. ორკესტრმა, ხორომ და მთელმა საზოგადოებამ ფეხზედ ადგომით სამჯერ იმღერა მრავალ-ჟამიერი, რომლის შემდეგაც დაიწყო მილოცვები. საერთო სურათი მილოცვებისა მგრძნობიარე და ეროვნულოვანი იყო. მრავალ საყურადღებო სიტყვებიდან აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმეს: ქართველ ქალთა წრის წარმომადგენელთაგან, ქართველ მოსწავლე ახალგაზდობისაგან, ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთაგან, ქართულ გიმნაზიისაგან, ძველ-სენაკის წარმომადგენლისაგან, ქუთაისის ციხის ტუსაღებისაგან, ქუთაისის ნოქრებისაგან, ჭიათურის მუშათა წარმომადგენლისაგან და სხვათა. მიულოცეს იუბილიარს აგრეთვე სხვა ეროვნებათა წარმომადგენელთაც, რომელთაც მგოსანმა საპასუხო სიტყვით მიმართა. აუწერელი აღტაცება გამოიწვია 4—5 წლის ბავშვმა, რომელმაც მშვენიერი ლექსით მიმართა მგოსანს და თავის მკაფიო ენით მოხიბლა ყველანი.

დილის დღესასწაული დასრულდა 4 საათზე. აკაკის ქუჩაზე გამოსვლისთანავე ხალხმა ერთხმად ვაშა იგრიალა და ეტლში მჯდომი მგოსანი დიდის ამბით სახლამდე მიაცილა. დიდხანს გარს ეხვივნენ იმის სადგომს.

საღამოს დღესასწაული დაიწყო 8 საათზე. ახალგაზდობამ აკაკი ეტლში ჩასვა, ცხენების მაგიერ თითონ შეება, ეტლი გარშემო სხვა და სხვა ფერადი ბენგალის ცეცხლით გააჩირაღდნა და ამ გვარად მოიყვანა იგი თეატრში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თეატრმა, რასაკვირველია, მსურველთა მეათედიც ვერ დაიტია და მსურველთა—უმრავლესი შორიდან შესცქეროდა თეატრს და შიგ მყოფ ბედნიერ მაყურებელთ.

წარმოდგენა დაიწყო „პატარა კახის“ მეორე მოქმედებით. შეუდარებელი იყო „პატა კახის“ როლში ქ-ნი დავითაშვილისა. მას მხარს უჭერდა ბ-ნი ყალაბეგაშვილი, რომელიც დარბაისელი გივი იყო. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ მთლიანობას. როლები კარგად იცოდნენ და მკაფიოდ ლაპარაკობდნენ.

შემდეგ დადგმულ იქმნა ერთი აქტი „თამარ ცბიერიდან“, რომელიც ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ თხოვნით ხელ-მეორედ იქმნა იგი სრულიად განმეორებული.

მესამე მოქმედებას შეადგენდა დივერტისმენტი. დივერტისმენტში, სხვათა შორის, საუცხოვო იყო ბ-ნი დათიკო მესხი და ქართულ-გლეხური ხორო ბ-ნ შარაბიძის ლოტბარობით. არა უშავდა-რა გურულ ხოროსაც, პირველი და მეორე ხმები მშვენიერი იყო, მხოლოდ ბანები მოისუსტებდნენ.

შემდეგ განაგრძეს მილოცვა, ვინც დილით ვერ მოასწრო. სხვათა შორის წაიკითხეს მრავალი დეპეშა, მათ შორის წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის ყაზბეგისაგან, ბაქოს მუსულმანებისაგან, ოზურგეთიდან, ხონიდან და მრავალ სხვა ადგილებიდან.

დღესასწაული დასრულდა აპოთეოზით, რომელიც აკაკის მრავალ ნაწარმოებიდან საუცხოვო სურათს წარმოადგენდა.

წარმოდგენა გათავდა ღამის პირველ საათზე და ამ ხანობამდე ქუჩაში მოზღვავებული უბილეთო ხალხი გარედ იდგა და მგოსნის გამოსვლას ელოდა. აგერ, გამოვიდა იუბილიარიც და ხალხმა სიმღერით მიაცილა სახლამდე. **ჯაფარ-ფაშა.**

—

**მოსკოვი.** არა მგონია, რუსეთის სხვა ქალაქში (საქართველოზე არა ვლაპარაკობ) ისე ბრწყინვალედ და დიდებულად ედღესასწაულნათ აკაკის იუბილე, როგორც მოსკოველმა ქართველებმა იდღესასწაულეს...

მოსკოვში ორი საიუბილეო საღამო გაიმართა: პირველი—6 დეკემბერს, უნივერსიტეტის საჰქტო დარბაზში, ქართველ სტუდენტობის თაოსნობით, მეორე კი—7 დეკემბერს, „სალიტერატურო-სამხატვრო წრეში“, მოსკოველ „ქართულ საზოგადოების“ თაოსნობით. აქ უადგილოა ამ განცხადებების მიზეზებზე ვრცლად ლაპარაკი, მაგრამ მოკლედ-კი უნდა აღვნიშნო შემდეგი: ქართველ სტუდენტობის ერთმა ნაწილმა, სახელდობრ—„ქართულ კულტურის მოყვარულთა წრემ“ ჯერ კიდევ სექტემბერში მისცა წინადადება „ქართულ საზოგადოებას“, ერთად ვიდღესასწაულოთ აკაკის იუბილეო, მაგრამ საზოგადოებამ (ფაქტიურად მისმა გამგეობამ) უარი შემოუთვალა „წრეს“: „ჩვენ ჩვენი პროგრამა უკვე შემუშავებული გვაქვს და მასში შეცვლა არ შეგვიძლიაო“. ამის შემდეგ წრემ გადასწყვიტა ცალკე საღამოს გამართვა და, ამრიგად, აკაკის საიუბილეოდ ორი საღამო გაიმართა. ამიტომ ცალ-ცალკე ვიტყვი ორივეზე.

როგორც ვთქვი, პირველად საღამო გამართეს სტუდენტებმა—6 დეკემბერს. საღამოს გამართვა თითქმის ორი თვეა, რაც გადაწყვეტილი ჰქონდა „ქართულ კულტურის მოყვარულთა წრეს“. 19 ნოემბერს მას შეუერთდა „ქართული თვისტომობაც“, ისე რომ საღამოს გამართვაში იერიშილად მთელმა ქართველმა სტუდენტობამ მიიღო მონაწილეობა. საღამოს რვაასამდის სტუმარი დასწრო. მოწვეულნი იყვნენ პროფესორები, საზოგადო მოღვაწენი, სხვა და სხვა საზოგადოებების წარმომადგენლნი და, რა თქმა უნდა, ყველა მოსკოველი ქართველი.

უნივერსიტეტის საჰქტო დარბაზი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ესტრადაზე წითელ მაუდით დაფენილი მაგიდა იდგა, მაგიდის უკან—კერძოდ ამ დღესასწაულისთვის დახატული აკაკის სურათი იყო ამაღლებულ ადგილზე დადგმული. სურათს ამშვენებდა დაფნის გვირგვინი. მაგიდის გარშემო, „ქართულ კულტურის მოყვარულთა წრ. ს“ ბიუროს და „თვისტომობის“ წარმომადგენელთა გარდა, რამდენიმე პროფესორს ეჭირა ადგილი, მაგალითად, პ. ნ. საკულინს, ა. ს. ხახანაშვილს, ლაზარევის ინსტიტუტის არაბულ ენის პროფესორს მ. ო. ატაიას შამბინაგოს და სხვა. კრება გახსნა—„თვისტომობის“ და „წრის“ სახელით, უკანასკნელის ბიუროს თავმჯდომარემ, გ. ჟორდანიამ, რომელმაც დამსწრეთ წინადადება მისცა, თავმჯდომარედ პროფ. პ. ნ. საკულინი აერჩიათ. კრებამ ამ წინადადებას ხანგრძლივის ტაშის ქუხილით მიეგება, რის შემდეგაც პ. ნ. საკულინმა თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა, და პირველი სიტყვაც მანვე წარმოსთქვა. მან აღნიშნა ის მსგავსება, რომელიც არსებობს, საზოგადოდ, ქართულ და რუსულ ლიტერატურის შორის; შეადარა ურთმანეთს ის სულიერი პროცესები, რომელსაც განიცდიდა რუსი და ქართველი პოეტი მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ეს პროცესები შედარებით ერთნაირი ყოფილიყო, მხოლოდ ქართველ პოეტზე უფრო ძლიერ უნდა ემოქმედნა: „თქვენ, ქართველებს, თითქმის ერთად-ერთ ერს დედამიწის ზურგზე, ჩინებული ჩვეულება გქონდათ: წარჩინებულნი გლეხებს აძლევდნენ აღსაზრდელად თავიანთ ბავშვებს, და აი ამიტომ იყო, რომ რაც პუშკინს მისმა გამზრდელმა ჩააგონა, ის აკაკის თვით ხალხის გულიდან ამოსულმა ხმამ აგრძნობინა. ერთის გამზრდელის მაგიერ, მას მთელი სოფელი აგონებდა თავის ზღაპრების ამბავსაო...“

შემდეგ პროფ. ა. ს. ხახანაშვილმა წაიკითხა ვრცელი, შინაარსიანი მოხსენება, რომელშიაც უფრო მხრივ შეეხო აკაკის მოღვაწეობას და, განსაკუთრებით მის ლირიკას.

ქართულ საზოგადოებისთვის ცნობილმა მუსიკალურმა მწერალმა დ. ი. არაყიშვილმაც ფრიად საინტერესო მოხსენება წაიკითხა აკაკის იმ ნაწარმოებზე, რომლებიც სახალხო მუსიკამ შეითვისა. „აკაკიმ ბევრი იშრომა ხალხურ პოეზიის გამშვენიერებაზე, ქართულ თქმულებების შემუშავებაზე, მაგრამ ხალხმაც არ შეინარჩუნა მისი ვალი—მან თავისად შეითვისა მწერლის ნაწარმოები, ბევრი მათგანი სიმღერაში შეიტანა, ესეც ისეთი ჯილდოა, რომლითაც ერი მარტო ეროვნულ გმირებს აჯილდოვებსო“. ასეთი იყო ბ-ნ არაყიშვილის მოხსენების დედა-აზრი.

შემდეგ სტუდენტმა გ. ფანიაშვილმა, შ. ქარუმიძემ, ს. ფანნაძემ და გ. ჟორდანიამ წაიკითხეს თავიანთი მოხსენებანი, სადაც სხვა და სხვა მხრივ დახასიათებულ აკაკის მოღვაწეობა. კრება ხანგრძლივის ტაშის გრიალით აცილებდა მათ მოხსენებებს, განსაკუთრებით კი ყურადღება დაიმსახურეს გ. ფანიაშვილმა, რომელმაც გაარჩია აკაკის მოღვაწეობა იმ ისტორიულ პირობებთან შედარებით, რომლებშიაც მოქმედებდა იგი; და გ. ჟორდანიამ.

მოხსენების შემდეგ წაკითხულ იქნა მოსალოცი დეპეშები, სხვათა შორის, უნივერსიტეტის რექტორის ა. მანუილოვისაგან და თ-დ. ა. ი. სუმბათაშვილისაგან. წარმოსთქვეს სიტყვები სტუდენტურ წრეების დელეგატებმა (სხვათა შორის, საკომმერციო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტობის წარმომადგენელმა და ოსების წარმომადგენელმა).

დასასრულ გაიმართა მუსიკალურ-ვოკალური განყოფილება. პირველად ქართულმა ხორომ, სტუდ. ტატო მგალობლიშვილის ლოტბარობით, მწყობრად შეასრულა რამდენიმე სიმღერა, შემდეგ წაკითხულ იქმნა რამდენიმე ლექსი (ქართულად და რუსულად). ბარიტონმა იდიგო აბაშიძემ გრძნობიერად შეასრულა რამდენიმე ქართული რომანსი, (სხვათა შორის „მთვარე“), შეთხზული დ. ი. არაყიშვილის მიერ. ქ-მა პ. ნ. ლურიემაც მშვენიერის ხმით შეასრულა „სადამურაი“, მუზიკა დ. ი. არაყიშვილისა.

საზოგადოდ, საღამომ ჩინებულად ჩაიარა, და დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა. დაშლის წინ პროფ. საკულინის წინადადებით, დეპეშა გაუგზავნა აკაკის, რომელიც იმედია, უკვე დაბეჭდილი იქნება გაზეთებში და ამიტომ მისს შინაარსს აღარ მოვიყვან. *)

ასე იდღესასწაულა ქართველმა სტუდენტობამ მოსკოვში ქართველ პოეზიის სიამაყის, აკაკის, იუბილეი. სწორედ ამ დღის სახსოვრად, ამავე სტუდენტობამ გამოსცა პატარა წიგნაკი—კრებული აკაკის ლექსებისა, რუსულად. კრებულში მოთავსებულია ოცამდის ლექსი, ზოგი კერძოდ ამ კრებულისთვის გადათარგმნილი. კრებულს წინ უძღვის პროფ. ა. ს. ხახანაშვილის წინასიტყვაობა. წიგნაკის „წმინდა შემოსავალი“ ქართულ კულტურის მოყვარულთა წრის სასარგებლოდ არის გადადებული.

მეორე დღეს, 7 დეკემბერს, „ქართულმა საზოგადოებამაც“ იდღესასწაულა აკაკის იუბილეი. აქაც ბევრმა ხალხი მოიყარა. თავმჯდომარეობდა თ-დი ა. ი. სუმბათაშვილი. მოხსენებები წაიკითხეს თვით ა. ი. სუმბათაშვილმა, ად. ნ. ჯავახიშვილმა და სტუდ. შ. ნადაძემ.

ბ-ნ სუმბათაშვილის მოხსენებას უფრო შესავალ სიტყვის ხასიათი ჰქონდა და გარეგნობით იგი შესაფერად იყო შედგენილი. ასე თუ ისე, სიტყვა ძალიან ეფექტიანი იყო. შემდეგ ბ-ნმა ად. ჯავახიშვილმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია..

ბ-ნ ჯავახიშვილის შემდეგ მოხსენება წაიკითხა სტუდ. შ. ნადაძემ. მან მშვენივრად დაახასიათა აკაკი, როგორც ეროვნული პოეტი. მისს რეფერატს დიდი მომზადება ეტყობოდა, საკმაო ცოდნაც გამოიჩინა მან აკაკის თხზულებებისა. მისი რეფერატი მწყობრი და შინაარსიანი იყო და კრებამ დააჯილდოვა რეფერენტი ხანგრძლივის ტაშის კვრით.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე ქართულ „თვისტომობის“ დელეგატმა, რომელმაც სტუდ. ს. ჯანტურიაშვილის პირით მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა.

იყვნენ სხვა სტუდენტურ წრეების დელეგატებიც, გარდა „ქართულ კულტურის მოყვარულთა წრისა“.

წაკითხული იქმნა რამდენიმე მოსალოცი დეპეშა (ს. მეროშნევის, ა. ლედნიცკის და სხვ.)

საზოგადოდ, ამ საღამომაც საკმაოდ მწყობრად ჩაიარა. **საროელი.**

—

**ქიზიყი.** 7 დეკემბერს აკაკის საიუბილეო სალიტერატურო დილამ ჩვენშიაც კარგა ჩაიარა. სალიტერატურო დილა განზრახული იყო ქვემო-მაჩხაანის სამინისტრო სკოლის დარბაზში, მაგრამ, როგორც იმ დილით აღმოჩნდა, ეს დარბაზი მოსულ ხალხის მეხუთედსაც ვერ დაიტევდა, ამიტომ ძალა უნებურად დილა ქ. მაჩხაანის კანცელარიის ეზოში გამართეს.

წირვის შემდეგ, დილას ასე თერთმეტ საათზე, გადახდილ იქმნა პარაკლისი გარეშემო სოფლის სამღვდელოებისა და ხირსის მონასტრის არქიმანდრიტის მონაწილეობით. პარაკლისის დაწყებისას მღ. კონდრატე ნინიკაშვილმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთლის მოღვაწეობაზე ამ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში, რომლის შემდეგ გამოჩნდა აკაკის დიდი სურათი მწვანე ფოთლებითა და ყვავილებით შემკული; პარაკლისისა და მრავალ-ჟამიერის შემდეგ ეს მრავლად მოგროვილი ხალხი მუშლი-მუხასას სიმღერებით კანცელარიის ეზოსაკენ გაემართა, სადაც მღ. ეგნატე მენთეშაშვილმა გახსნა სალიტერატურო დილა თავის სიტყვით, გააცნო რა ხალხს აკაკის მნიშვნელობა ჩვენის ლიტერატურის და ეროვნულ საქმეში. შემდეგ ქ-მა როსტომაშვილისამ წაიკითხა აკაკი წერეთლის ბიოგრაფია, მერე სხვა და სხვა სოფლის მასწავლებელ-მოსწავლეებმა და ინტელიგენტებმა წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები. ამ ლექსების კითხვის დროს შიგა და შიგ მომღერალთა გუნდი ამბობდა სიმღერებს აკაკი წერეთლის სიტყვებზე. დასასრულ ხალხს უფასოდ დაურიგდა აკაკის რჩეული ლექსთა წიგნაკები.

ხალხი ძრიელ ნასიამოვნები დაიშალა.

*) ეს დეპეშა დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის მე-10 ნომერში.

## სახელმწიფო სათათბირო

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**კამათი გარეშე პოლიტიკაზე**

(დასასრული. იხ. N 24)

გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ოქტომბრისტების ლიდერმა გუჩკოვმა, რომელმაც პირველად ყოველისა დაასაბუთა საჭიროება გარეშე პოლიტიკაში სათათბიროს ჩარევისა. მთავრობა ძალას მოიპოვებს, მეტის ავტორიტეტით აწარმოებს გარეშე პოლიტიკას, თუ სახალხო წარმომადგენლობა მის მხარეზე იქნებაო. სხვათა შორის გუჩკოვმა აღიარა:

რაც უნდა ეცადოს მთავრობამ გარეშე პოლიტიკის სფეროს შეზღუდვისათვის და სათათბიროს გავლენის აშორებისათვის, თვითონ ცხოვრება აუცილებელ საჭიროებად გახდის სათათბიროს მონაწილეობას გარეშე პოლიტიკაში.

შემდეგ გუჩკოვი არჩევს იზვოლსკის სიტყვას და იწონებს მის განცხადებას. ბოლოს ოქტომბრისტების, ზომიერ მემარჯვენეთა, პროგრესისტების, მირნოე ობნოვლ. ფრაქციისა და ნაციონალისტების სახელით წარუდგენს სათათბიროს შემდეგ ფორმულას:

გაიცნო-რა სათათბირომ მინისტრის სიტყვიდან რუსეთის გარეშე პოლიტიკის მიმართულება საზოგადოდ და ბალკანეთის საქმეების სფეროში კერძოთ, მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს მოძმე სლავიანთა ერებსა და სახელმწიფოებს და მტკიცედ იმედოვნებს, რომ მთავრობა ყოველ ძალღონით დაიცავს მათ სამართლიან მოთხოვნათა და ინტერესებს, რომ მიზანი აღსრულებული იქნება მშვიდობიანის გზით და თან რუსეთის ღირსებაც იქნება დაცული (ხანგრძლივი ტაშის ცემა ყველა სკამებზე გარდა უკიდურეს მემარჯვენეთა და უკიდ. მემარცხენეთა).

შემდეგ გრძელ სიტყვას ამბობს კადეტების ლიდერი **მილიუკოვი**, რომელიც აგრეთვე აღნიშნავს საზოგადოებრივ აზრის დიდ მნიშვნელობას გარეშე პოლიტიკაში და შეუდგება იზვოლსკის სიტყვის გარჩევას. სხვათა შორის მილიუკოვი მინისტრს ეკამათება იმ საიდუმლო დოკუმენტების მნიშვნელობის შესახებ, რომელთა არსებობა ხელფეხს უბორკავს რუსეთის ახლანდელ მოქმედებას. მილიუკოვი იმ აზრისაა, რომ იზვოლსკი აზვიადებს ამ დოკუმენტების მნიშვნელობას. შემდეგ კადეტების ლიდერი აღნიშნავს იმ გზას, რომლით შეიძლება ბოსნია-ჰერცოგოვინას დამშვიდება და სერბთა დაკმაყოფილება. ეს გზა არისო— ამ პროვინციების ავტონომია და იქ დემოკრატიული კონსტიტუციონურის რეჟიმის დამკვიდრება. ამის ასრულებას უნდა ეცადოს რუსეთი დიპლომატიურის გზით და კონფერენციის საშუალებითაო. შემდეგ ორატორი გადადის სპარსეთის საქმეებზე და ამბობს:

სიხარულით მივეგებებოდი მინისტრის განცხადებას, რომ რუსეთის მთავრობა არ ერევა სპარსეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობს ეჭვი და საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ფრაზა არაა და რომ მთავრობის აგენტები ეხმარებიან შაჰს რეაქციის გაძლიერებაში... ნუ თუ ჩვენ იმიტომ შევუთანხმდით ინგლისს, რომ მოვამზადოთ ნიადაგი ახალ ანექსიისთვის? ჩვენი ჩათრევა სურთ ახალს ავანტიურაში და ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ჩვენი მინისტრები პასუხისმგებლები არ არიან და თვითნებურ პოლიტიკას აწარმოებენ.

ბოლოს მილიუკოვი კადეტთა ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ გუჩკოვის ფორმულას ემხრობა.

შემდეგ, გრძელ სიტყვებსვე ამბობს **პურიშკევიჩი**, რომელიც აფრთხილებს მთავრობას: ახალი კურსი გარეშე პოლიტიკაში (ინგლისთან შეთანხმება და გერმანიის წინააღმდეგობა) კარგს არაფერს მოგვიტანსო. კადეტებმა განზრახ დაიწყეს ნეოსლავიანობა, სლავიანთა გამოქომაგება, რათა ამ გზით ჩვენი შეტაკება გერმანელებთან გამოიწვიონ და დაღუპონ სახელმწიფოო. არას გვარგებს ინგლისის პოლიტიკას მივსდიოთ კუდში და მის სასარგებლოდ ვიმუშავოთო. ჩვენ, მემარჯვენენი, ვიწვევთ გარეშე საქმეთა პოლიტიკის ხელმძღვანელთ, განიმსჭვალონ რუსის ხალხის ნაციონალურის იდეებით და საკუთარი ნაციონალური პოლიტიკა აწარმოონო.

მაჰმადიანთა ფრაქციის ლიდერი **მაკსუდოვი** თანაგრძნობით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რუსეთის გარეშე პოლიტიკის ხელმძღვანელნი ოსმალეთს მეგობრულად ეკიდებიანო. მაჰმადიანთა აღმოსავლეთი ღრმა ძილისაგან იღვიძებს და ის სახელმწიფო, რომელიც მაჰმადიანთა აღორძინებას სიმპატიით მოეპყრობა, დაიმსახურებს აღმოსავლეთის სიყვარულს და ამ გზით უფრო გაძლიერდებაო. ჩვენ გვსურს, რომ რუსეთის მთავრობა არ ივიწყებდეს ამასაო.

ბოლოს ოქტომბრისტების ფორმულა უმრავლესობამ დაამტკიცა...

**15 დეკემბრის სხდომა**

ამ დღეს მე-32 სხდომაზე, სახ. სათათბირომ რამდენიმე უმნიშვნელო საკითხი განიხილა. მოისმინა საბიუჯეტო კომისიის მოხსენება სატყეო დეპარტამენტის აღრიცხვის შესახებ და მიიღო ეს აღრიცხვა.

შემდეგ მოისმინეს კომისიის მოხსენება მოსკოვში ორი საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის დაწესების შესახებ. ამ გამომძიებლებმა განსაკუთრებით უნდა ვაარჩიონ რკინის გზებზე მომხდარ ქურდობების საქმეები. მოისმინეს აგრეთვე მოხსენება პროკურორის ამხანაგის მუდმივ თანამდებობის დაწესების შესახებ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ სამმართველოში.

შემდეგ განიხილეს კანონ-პროექტი აფიცრებისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ. ლაპარაკის დრო ათი წუთით შეამცირეს. ჩაეწერა 30 ორატორი. ილაპარაკა სამხედრო მინისტრმა იმ შენიშვნების შესახებ, რომელიც კომისიამ გაუკეთა კანონ-პროექტს. კომისიამ მოითხოვა, რომ სამხედრო სამინისტრომ გააუმჯობესოს ქონებრივი მდგომარეობა სამხედრო ფერშლებისა, საქმის-მწარმოებლებისა, ტიპოგრაფებისა, სამღვდელოებისა. მინისტრმა სთქვა, ჩვენც მოსურნენი ვართ, მივმატოთ ამათ ჯამაგირიო. კანონ-პროექტზე კამათი შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

ბოლოს მოისმინეს შეკითხვა იმ სავალდებულო დადგენილებათა შესახებ, რომელიც გამოუცია მოსკოვის გენ.-გუბერნატორს გერშელმანს. ამ სავალდებულო დადგენილებით, წიგნის მაღაზიები, სხვა დაწესებულებანი და კერძო კაცი პასუხისმგებელნი არიან უკვე დაბეჭდილ და მერე აკრძალულ წიგნების შენახვისთვის. მაკლაკოვმა უკანონობად ჩასთვალა ასეთი დადგენილება. ილაპარაკა ოქტომბრისტების მეთაურმა გუჩკოვმაც, რომლის აზრითაც გენ.-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება გზას უხსნის ადმინისტრაციის თვით-ნებობას.

სათათბირომ სასწრაფოდ იცნო ეს შეკითხვა. ამის შემდეგ დაიწყო კამათი შეკითხვაზე არსებითად. ჩაეწერა 11 ორატორი. თავმჯდომარემ სთხოვა სათათბიროს, სადღესასწაულო დათხოვნამდე სულ ოთხი დღე ღა გვიკლია და გთხოვთ, ვიდრე ეს 11 ორატორი არ ილაპარაკებს, ნუ დაიშლებითო. ილაპარაკეს მაკლაკოვმა, შულგინმა, ტიმოშკინმა, მარკოვმა და სხვებმა. ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია ასრულებდნენ გენ.-გუბერნატორის განკარგულებას.

კენჭის ყრით შეკითხვა მიიღეს. სხდომა დასრულდა 6 ნახ. საათზე. შემდეგი სხდომა 17 დეკემბერს.

# სრულიად რუსეთის ქალთა კრება

მკითხველებმა უკვე იციან, რომ 10 დეკემბერს პეტერბურგში დაიწყო სრულიად რუსეთის ქალთა კრება. კრებას რუსეთის გაზეთები ალტაცებით მიეგებნენ. პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ სტუმართ-მოყვარეობა გამოიჩინა და თავისი სადგომი დაუთმო კრებას. კრება გახსნა ქ-ნმა შაბანოვამ, რომელმაც უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა. შაბანოვას შემდეგ ილაპარაკა ფილოსოფოვამ. ფილოსოფოვა თითქმის 80 წლის ქალია, მას ბევრი უნახავს და გაუგონია და ქალთა მოძრაობაშიაც დიდი მონაწილეობა მიუღია. „ძვირფასო, სასურველო სტუმრებო, მიმართა მან კრებას, მოგილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს. მე უკვე 80 წელიწადი ვცხოვრობ, მაგრამ ეს დღე ჩემთვის ყველაზე ბრწყინვალე დღეა. პატარაობისას მოწამე ვიყავ მონების განთავისუფლებისა, ეხლა, სიბერის დროს, ქალების განთავისუფლების მოწმე ვხდები. იქნებ შორს არ იყოს ის დღეც, როდესაც ქალი არა თუ ქალაქის საბჭოში შევა, არამედ სახელმწიფო სათათბიროშიაც, სადაც მამაკაცთან ერთად საპატიო ადგილს დაიჭერს. მე ვერ მოვესწრები ამ დღეს, მაგრამ ვგრძნობ-კი ამის სიახლოვეს."

კრებას მიულოცეს: პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტმა, პეტერბურგის ქალთა კლუბმა, გაზეთმა „ქალთა კავშირ"-მა; პედაგოგიურმა აკადემიამ, უკრაინელთა გრომადამ, პედაგოგთა საზოგადოებამ, პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ, ქალთა უმაღლესმა კურსებმა, პრესსამ, მუშა ქალებმა, ებრაელმა ქალებმა, მოსკოვის ქალთა კლუბმა, განათლების ლიგამ, ქალაქებმა: სარატოვმა, დონის-როსტოვმა, ბაქომ, მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალ-მსმენელმა ქალებმა, გაზეთმა „ჟენსკი ვესტ."-მა, ჩეხელმა, ავსტრიელმა, ფინლიანდელმა, გერმანელმა, ჰუნგრეთელმა, შვეიცარიელმა და სხვა ქვეყნის ქალებმა, კადეტების და ტრუდოვიკების ფრაქციამ, მირნოობნოვლენცებმა, პროგრესისტებმა და სხვებმა. მოვიყვანთ მოკლედ ზოგიერთების მილოცვებს.

„უსურვებთ გამარჯვებას რუს ქალებს, გვიყვარხართ, როგორც სლავიანელთა სულის ნაწილნი. ჩეხელი ქალები". „სალამი სლავიანელ ქალებს. გისურვებთ ბრძოლაში გამარჯვებას. ფინლიანდიელი ქალები. სკოლა უძლურია იქ, სადაც ნახევარი მცხოვრებლები უუფლებოა. სადაც ქალებს უფლება არა აქვთ და უკულტურონი არიან, იქ კულტურა არ არის. მხოლოდ უფლებრივ სახელმწიფოში მიიღებენ ქალები უფლებებს. ქალთა კრება პირველი ნაბიჯია უკეთს მომავლის მოსაპოვებლად. პედაგოგიური აკადემია." პეტერბურგის ქალთა კლუბის მილოცვაში ნათქვამია, რომ ქალთა ორგანიზაციებმა კულტურულად უნდა იმუშაონ, რომ რეალური პოლიტიკური უფლებები მიიღონ. მაშინ ქალს ველარ გაუბედავენ გვერდი აუხვიონ. კრება ქალთა მოძრაობას მიზნებს დაუსახავს და ქალთა თვითმოქმედებას და ენერგიის ამაღლებს. პეტერბურგის პედაგოგთა საზოგადოების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქალთა საკითხი—სოციალური საკითხიაო. რუსი ქალი ნახევარი საუკუნე იბრძვის უფლებისა და კულტურისათვის. ეხლანდელი ქალი ხშირად საზოგადო ინტერესს თავის კლასობრივ ინტერესზე მაღლა აყენებს. ქალმა თვითონ იცის გზა და არ დაკმაყოფილდება მამა-კაცის თანამგზავრობით. ებრაელ ქალების წარმომადგენელმა სთქვა, რომ ებრაელი ქალები ალტაცებით ეგებებიან ქალთა კრებას და მის სურვილს ქალების განთავისუფლებისას, რადგან განთავისუფლებული რუსი ქალი ბოლოს მოუღებს ყოველნაირ დაჩაგვრას. გაზ. „ჟენსკ. ვესტ." წარმომადგენელმა სთქვა: „ნაყოფიერი მუშაობა კრებისა და ქალების ლტოლვილება პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად იქნება იმ ბრწყინვალე სხივად, რომელიც გაჰფანტავს რუსეთის სიბნელეს.

კრებაზე წაიკითხეს აუარებელი დეპეშა, რასაც კრება ტაშის კვრით მიეგება. მილოცვების წაკითხვის შემდეგ ილაპარაკა ქ-ნმა ბაბანოვამ. მან ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგეთა საბუთები გაარჩია. ორატორმა სთქვა, ქალებმა უსათუოდ საარჩევნო უფლებები უნდა მოიპოვონო.

შემდეგ მოხსენება წაიკითხა პროფესსორმა პეტრაჟიცკიმ. ორატორმა ის აზრი გაატარა, რომ უფლება თანდათან ვითარდება, უკეთესდება, ხალხიც ვითარდება, უკეთესდება. ახლოვდება დრო, არა თუ ქალების გათანასწორებისა, სხვანაირ ერთობისაც და სხვა. ამ დღესვე წაიკითხეს რამდენიმე მოხსენება.

მეორე დღეს სექციების მუშაობა იყო. პირველ სექციაში გაარჩიეს ქალთა ქველმოქმედების საკითხი. ქალთა ქველმოქმედების საზოგადოებრივ-ეკონომიურ მნიშვნელობაზე მოხსენება წაიკითხა ჩერევანსკიმ. ამას გარდა კიდევ ორი მოხსენება წაიკითხეს. სექციის კრებას ძალიან ნაკლები ხალხი დაესწრო.

მეორე სექციაში წაიკითხეს: ერემეევამ „მუშა ქალი სოფელში", შჩეპკინამ: „შრომა და ჯან-საღობა სოფლელ ქალისა" და სხვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მესამე სექციის კრებას ბევრი ხალხი დაესწრო და დიდი კამათიც გაიმართა. მესამე სექციაში ირჩეოდა საკითხი ქალების პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. პირველი მოხსენება წაიკითხა ქ-ნმა ბერდხიკოვისამ. იგი შეეხო ქალთა მონაწილეობას ერობებში. აღნიშნა, ქალებმა ისეთი დროში უნდა დაიჭირონ, რომლის ქვეშაც ნამდვილი დემოკრატიული ელემენტები იმუშავებენო. სექციამ დიდის ყურადღებით მოისმინა ქ-ნ ბაუმშტეინის მოხსენება. მან ქალ-იურისტებზე ილაპარაკა. ბაუმშტეინმა აღნიშნა, რომ სოფლები იურისტებს მოკლებულნი არიან, ყველანი სოფლელთ ატყუებენ; ამის ასაცილებლად კი საჭიროა, ქალებს გზა გაუხსნან ამ ასპარეზზეო. პროფესსორმა პეტროვმა გააცნო შორეულ აღმოსავლეთის ქალთა მოძრაობა. ქ-ნმა ავილოვამ სექციას აუწყა, რომ მთავრობის დაწესებულებაში პირველად ქალი მიიღეს 1780 წელს.

მეოთხე სექციამ რუსეთის ქალთა განათლებაზე იქონია მსჯელობა. წაიკითხეს მოხსენებები საბავშვო ბაღებზე, ფრებელის კურსებზე და სხვა.

წინდაწინვე შემუშავებულ პროგრამმით საკითხები ჯერ სექციებში ირჩევა და მერე საზოგადო კრებებზე, ასე რომ ზემოდ აღნიშნული მოხსენებები საერთო კრებაზედაც გაირჩევა და მაშინ დავინახავთ თუ რა გზას დაადგება ქალთა კრება.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 დეკემბერი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** სეფე-სიტყვის სენატის საპასუხო ადრესში გამოთქმულია კმაყოფილება იმის გამო, რომ სულთანს გადაწყვეტილი აქვს კონსტიტუცია დაიცვას. რაც შეეხება ბოსნიისა და ბოლგარიის საკითხებს, რომლის შესახებაც იყო სეფე-სიტყვაში ლაპარაკი, სენატის ადრესში ნათქვამია, დიპლომატიის მიზანს უნდა შეადგენდეს შეთანხმება იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე. ამ საკითხების სასურველად გათავება აღმასრულებელ მმართველობის მოვალეობაა. ვიმედოვნებთ, რომ მინისტრთა საბჭო ამ საკითხებს სასურველად დააბოლოვებს, ხოლო საკან-ნმდებლო უფლება პარლამენტისა მინისტრთა საბჭოს შემწეობით უეჭველად შესძლებს შინაურ საქმეების მოწეს-რიგებას და ქვეყანას პროგრესის გზაზე დააყენებს.

**სტამბოლი.** საპასუხო ადრესი პალატამ უკამათოდ მიიღო. მინისტრები სხდომას არ დასწრებიან. ადრესის მთავარ მუხლად—საპასუხისმგებლო სამინისტროს მოთხოვნაა.

## სპარსეთი

**თავრიზი.** ბისმინჯაში დაბანაკებულ კაზაკებ-სათვის ლიახოვმა 20 თუმანი გამოგზავნა. ენჯუმენმა მიისაკუთრა ეს ფული თავრიზის ხაზინიდან. ენჯუმენმა წაიღო აგრეთვე წერილი შაჰისა, ეინუდ-დოულესთან გაგზავნილი.

## ბალკანეთი

**ვენა.** რადგან ბოლგარიაში ოსმალეთის სეფე სიტყვამ აღშფოთება გამოიწვია და ბოლგარიის მთავრობის ნოტაშიაც პროტესტია გამოცხადებული, ვენის კაბინეტი საჭიროდ სთვლის სახელმწიფოთა ყურადღება მიაქციოს ამ არა-ნორმალურ მდგომარეობას ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის და გამოუცხადონ სტამბოლში სურვილი იმის გამო, რომ მოლაპარაკების დროს ბოლგარიის შესახებ მეტი წინდახედულება იქონიოს.

**სოფია.** 1909 წლის ბიუჯეტი 158,300.000 მანეთამდე ჩამოიყვანეს. მიმდინარე წელს მომატებულია ხარჯი სამხედრო სამინისტროსი 9 მილიონით, სახალხო განათლების სამინისტროსი—3 მილიონით. სახელმწიფო ვალების აღრიცხვიდან გამოტოვებულია 3 მილიონი კონტრიბუცია აღმოსავლეთ რუმელიისათვის.

## საზღვარ-გარედ

**ტოკიო.** აღმოსავლეთ ინსტიტუტის რექტორის მეუღის მკვლელს 12 წლით კატორგა მიუსაჯეს.

**მონტელეონე (იტალია).** 15 დეკემბერს დილით კალაბრიაში დიდი მიწის ძვრა მოხდა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ. სტეფანოკინში მოკლულ იქმნა—3, დაშავდა 30 კაცი. სან-ოფრიოში დაზარალდა რამდენიმე კაცი, სან-ჯიორჯიოში მოკვდა ორი. ზღვის დიდ ღელვისაგან კატანის მახლობლად რამდენიმე გემი ზღვაში ჩაიძირა, რამდენიმე დაზიანდა; ნავთსადგურში საქონელი გაფუჭდა; ტელეგრაფისა და ტელეფონის მართულები როგორც სიცილიაში ისე კუნძულზე დაწყდა. კუნძულზე რკინის გზით მიმოსვლაც შეჩერდა.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** ერთი დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 17, გარდაიცვალა 8 კაცი.

**ტომსკი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე სატეხნოლოგო ინსტიტუტში მომხდარ გაცარცვის შესახებ. ტეხნიკოსს კორენცევს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, სტუდენტს დობროლიუბოვს 10 წლით კატორგა, სტუდენტი ნესლედიშევი გაამართლეს.

**ტაშკენტი.** სენატორ პალენის სარევიზიო კომისიის წევრნი დაბრუნდნენ პეტერბურგს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ კიდევ ვანო ინაშვილის შეპყრობის შესახებ.** როგორც გუშინ ვწერდით, შეიპყრეს ვანო ინაშვილი, რომელსაც ჰბრალდება ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. შეპყრობა ასე მოხდარა. მაზრის ადმინისტრაციას ამბავი მისვლია, რომ ტფილისის მახლობლად, სოფელ ოლგინსკოესთან საკლავ საქონლის პატრონის შაქროს ბინაზე იმალებიან ვიღაც საეჭვო პირებიო. პოლიციის მოხელეებს თან წაუყვანიათ დარაჯები და 14 დეკემბერს გათენებისას მისულან ეგრედ წოდებულ მარილის ტბასთან. საეჭვო პირებს შეუნიშნავთ მომავალი დარაჯები და ჩალიანში მიმალულან. დარაჯები დასდევნებიან, ალყა შემოურტყავთ და დამორჩილება მოუთხოვნიათ. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ უცნობნი დამორჩილებულან. ნამამასახლისარს ივანე ინაშვილს პირველ გამოკითხვაზე თავისი ვინაობა დაუმალავს, მაგრამ შემდეგ გამოტეხილა და თავისი სახელი და გვარი უთქვამს. ინაშვილთან ერთად დააპატიმრეს აკიმ დოროშენკო, რომელიც მაისში ფშაველიშვილისა და სხვებთან ერთად მეტეხის ციხიდან გაიქცა. დოროშენკოს ჰბრალდება ბეიუკ-კიასიკის სადგურთან სხვებთან ერთად საფოსტო მატარებელზე თავდასხმა და გაცარცვის განზრახვა. დაპატიმრებულებთან აღმოჩნდა 29 ოქტომბერს ნაძალადევიდან გატაცებული და ტყვედ წაყვანილი სიღნაღის მცხოვრები კონსტანტინე მირაქოვი. დაპატიმრებულები მეტეხის ციხეში გაგზავნეს. შეუდგნენ საქმის გამოძიებას.

**✦ ტფილისის საბჭო და პურიშკევიჩი.** 15 დეკემბერს საღამოთი ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებს კერძო თათბირი ჰქონდათ. დეპუტატის პურიშკევიჩის სიტყვის შესახებ ხმოსანთა უმრავლესობამ სთქვა, ჩვენი აღშფოთება გამოვაცხადოთ იმის გამო, რომ პურიშკევიჩი და მისი თანამოაზრენი უშვერის სიტყვებით და ცილის წამებით იხსენიებენ კავკასიის მცხოვრებლებსაო. ბოლოს ხმოსნებმა დაადგინეს, დეპეშა გაუგზავნონ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, დაჰგმონ პურიშკევიჩები და თანაგრძნობა გამოუცხადონ კავკასიის ნამესტნიკს გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს. კერძო სხდომამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა, გაიცანით სახელმწიფო სათათბიროს წევრის პურიშკევიჩის სიტყვა, რომელიც გამოწვეულია კავკასიის მცხოვრებლებისადმი კაცთმოძულეობის დამოკიდებულებით, სავსეა კავკასიის ცხოვრების შესახებ გადამახინჯებულ ფაქტებით და რომელიც გამოხატავს სრულიად რუსეთის საზოგადოების რეაქციონურ ნაწილის აზრს, ვაცხადებთ ჩვენს უღრმეს გულისწყრომას კავკასიის სინამდვილის გადამახინჯებისა და ტენდენციურ განმარტებისათვის. ამასთან ხმოსნებს მტკიცედ სწამთ, რომ დამშვიდება და შემდეგი განვითარება კავკასიისა შეიძლება მხოლოდ ჩვენის კუთხის კულტურულ ამაღლებით და დიდი ხნიდან მომწიფებულ რეფორმების განხორციელებით. ხმოსნები გამოხატავენ რა ტფილისის მცხოვრებთა სურვილს, უცხადებენ თავიანთ უღრმეს თანაგრძნობას კავკასიის ნამესტნიკს, რომელსაც რეაქციონური ელემენტები დაუმსახურებლად სდევნიან, და გამოსთქვამენ იმედს, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოწინავე ნაწილი ყოველსავე საშუალებას იხმარს და მალე განახორციელებს დიდის ხნიდან მოსალოდნელ პროგრესიულ რეფორმებს."

**✦ ტრამვაის შესახებ.** ნამესტნიკის განკარგულებით და ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს, მოაგვაროს ურთი-ერთობა ქალაქის სამართველოსა, ტრამვაის დირექციასა და ტრამვაის მოხელე-მოსამსახურეთა შორის, ისე რომ ტრამვაის მოქმედება არ შეფერხდეს. კომისია გამოარკვევს ტრამვაის მდგომარეობას, მიზეზებს ზარალისას და მიიღებს შესაფერ საშუალებებს.

**✦ ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა 15 დეკემბერს. ხმ. ვართანოვი შეეკითხა გამგეობას, გამგეობა ჰფიქრობს თუ არა რითიმე აღნიშნოს კავკასიის მცხოვრებთა შესახებ ცილის-წამებით სავსე სიტყვა პურიშკევიჩისაო. თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა: მაგ საგნის შესახებ ხმოსნებს კრება-თათბირი ჰქონდათ, მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც გაზეთებში იქნება გამოქვეყნებულიო. საბჭომ განიხილა ტფ. მეეტლეების თხოვნა რამდენიმე თვით გადასახადების მოკრების შეჩერების შესახებ. საბჭომ დაადგინა, უარი გამოუცხადოს მეეტლეებს. შემდეგ საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება, რომლითაც ამიროვის სახელობის სტიპენდია დაენიშნა მოსკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტს სიმონ ტერ-სიმონოვს. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მოხსენებამ ლორის-მელიქოვის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ მოხსენებამ. ყველა მთხოვნელზე უფრო გაჭირვებულად შეკრებილ ცნობებით გამგეობას უცვნია სტუდენტი გიორგი ლევრანი. ხმოსნებმა სთქვეს, გამგეობამ უსათუოდ ნამდვილ წყაროებიდან მოჰკრიბოს ხოლმე ცნობები სტუდენტის მიმღებ მთხოვნელთა შესახებ. ამ შემთხვევაში ნამდვილი ცნობები გამგეობას შეუძლიან მიიღოს უნივერსიტეტის „ზემლიაჩესტვოებიდან", რომელთაც უფრო იციან ქონებრივი მდგომარეობა ამხანაგებისა. საბჭომ ლორის-მელიქოვის სახელობის სტიპენდიის შესახები საქმე გადასცა სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელიც შეჰკრებს ცნობებს. საბჭომ ამავე საღამოს განიხილა მოხსენება ზუბალოშვილის სახელობის სახალხო სახლის განათების შესახებ. გამგეობის მოხსენებით განათებისათვის საჭირო იქნება 4000 მან. საბჭომ ამ საკითხის შესახებ მოსაზრების წარდგენა დაავალა სატეხნიკო კომისიას.

**✦ იაცკევიჩის მოხსენება.** ამ დღეებში, რუსეთის გაზეთების სიტყვით, სინოდი მოისმენს იაცკევიჩის მოხსენებას აქაურ სასინოდო კანტორის და ქუთაისის სასულიერო მართველობის შესახებ. იაცკევიჩმა რევიზია უყო ზემოდ დასახელებულ დაწესებულებებს და ეხლა თავის აზრს გადასცემს სინოდს. გაზეთების სიტყვით, იაცკევიჩი თავის მოხსენებაში საქართველოს საეგზარხოსო ავტოკეფალიისადმი ლტოლვილებას აღნიშნავს; ამას გარდა კავკასიის სასულიერო სკოლა, მისის ფიქრით, რუსეთის საწინააღმდეგო აზრების გამავრცელებელი ყოფილა.

**✦ დაპატიმრება.** 15 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა საბერძნეთის ქვეშევრდომი იოსებ იანისი, ქართლელი გლეხი პავლე გიგაური და ტფილისის მცხოვრები გიორგი კაპანაძე, რომელთაც ჰბრალდებათ ნაძალადევიდან 29 ოქტომბერს გატაცება და დატყვევება სიღნაღის მოქალაქის კონსტანტინე მირაქოვისა. ამავე დღეს დააპატიმრეს ვანო არშაკოვი, რომელსაც ჰბრალდება ფოსტაზე თავდასხმა ბორჯომის ხეობაში.

**✦ ქართული თეატრი.** დღეს, დეკემბერს, ქართულ თეატრში გაიმეორებენ „სამშობლოს".

**✦ უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა პროფესსორი ა. ს. ხახანაშვილი, რომელიც წაიკითხავს უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) 4 ან 5 ლექციას ქართულ მწერლობის ისტორიაზე. ლექტორი შეეხება მწერლობას მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნემდე. პირველი ლექცია წაკითხული იქნება 27 დეკემბერს.

✦ ავჭალის ქუჩაზე 14 დეკემბერს ოსმალეთის ქვეშევრდომი ალექსანდრე ორლოვი შესულა ოსიპოვის დუქანში და იქიდან გაუტანია ალექსანდრე ვარენკოს შინელი, 10 მან. ღირებული. ვოინჩენკო გამოსდევნებია ორლოვს, შინელი წაურთმევია, ცოტა ხანს შემდეგ ორლოვი ისევ დაბრუნებულა ოსეფოვის დუქანში, მივარდნია ვოიჩენკოს და დანით ორგან დაუჭრია. ორლოვი დააპატიმრეს.

✦ თულუხის ქუჩაზე 15 დეკემბერს, ღამის 11 საათზე, ორი კაცი თავს დაეცა შულავერის მცხოვრებს ავეტიკ ხულატოვს და მოსთხოვა ფული. მალე პოლიცია მიეშველა ხულატოვს და მიკირტიჩ გელორგიანი და არტაშეს ვართანოვი დააპატიმრა.

✦ ტფ. მცხოვრებმა ნინო მანთაშევისამ პოლიციას გამოუცხადა, რომ მილნის ქუჩაზე საკუთარ სახლში საღამოს 8 საათზედ 14 დეკემბერს შეუვარდა სამი შეიარაღებული უცნობი და ფული და ნივთები მოსთხოვა. მანთაშევის ქალს შეშინებია და თავდამცემთათვის გადაუცია ფულად 40 მან., რევოლვერი და ნივთები 110 მანეთისა. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა ნიკოლოზ გრიქუროვი და მიხეილ თოიძე.

# სპარსეთის ამბები

**ინგლისურ პრესის აზრი სპარსეთის საქმეებზე.**

ინგლისურმა პრესამ ხელახლად დიდი ყურადღება მიაქცია სპარსეთის საქმეებს.

კონსერვატიული გაზ. „მორნინგ პოსტ"-ი მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ ინგლისის საზოგადოების მოთხოვნა პოლკოვნიკ ლიახოვის წაყვანის შესახებ დღემდე არ შეასრულო რუსეთმაო. რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები კიდევ ერევიან სპარსეთის საქმეებში იმ აზრით, რომ ამით მაინც მოიგონ გული რუს-შავრაზმელებისა, რომლებიც დღესაც ხელს უშლიან რუსეთის მთავრობას... თუ რუსის აგენტები ამას იქითაც არ მოიშლიან სპარსეთის საქმეებში ჩარევას, ამას ბოლოს შედეგად მოჰყვება სპარსეთის განაწილება, რასაც ინგლისი ყოველის ღონით უნდა წინააღუდგესო.

„დეილი ნიუს"-ი მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ ეინუდ-დოულემ დაისაკუთრა 5,000 გირვ. სტერლინგი, გაგზავნილი ინგლისელთა ბანკში თავრიზშიო. ჩვენ არ ვიცით, ამბობს გაზეთი, ამ ფულიდან რამდენი შეხვდება შაჰის შიშველა ჯარისკაცებს, რამდენი ჩავა გენერლების ჯიბეში და რამდენი მოხმარდება თითონ შაჰის სასახლის შენახვას. ჩვენ ის ვიცით, რომ ოფიციალურმა პროტესტმა არ გასჭრა და ეს ფული დღესაც არ დაუბრუნებიათ. ეგრედ წოდებული „მეამბოხენი" თავრიზში უფრო წესიერად იქცევიან და უფრთხილდებიან უცხოელთა სიცოცხლესა და საკუთრებას. შაჰის ჯარმა ამას წინად თოფი ესროლა და ფული წაართო ინგლისელ მოგზაურებს. ამავე დროს შაჰი არ ასრულებს თავის პირობას, მეჯლისს არა ჰხსნის და პირდაპირ ატყუებს ჩვენს საელჩოს. ნეტავ დიდხანს აღვიარებთ სპარსეთის კანონიერ ხელმწიფედ ამ პატარა მტარვალს, ყაჩაღს და ფიცის გამტეხს?

ამას წინად, როგორც ვიცით, რუსეთის წარმომადგენელმა საბლინმა თეირანიდან განდევნა რუსულ გაზ. „რეჩ"-ის კორესპონდენტი ბ. ტანე. ამ ამბავსაც დიდი ყურადღება მიაქციეს და წერილები უძღვნეს ინგლისურმა გაზეთებმა. „დეილი ნიუზ"-მა დასწერა: იქნება შაჰმა და ლიახოვმა შეაცდინეს ბ. საბლინი. სასურველია, რომ რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად განმარტოს ეს ამბავიო.

### სათარ-ხანის გამარჯვება

დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა 16 გიორგობისთვის ბრძოლის ამბავი. ეხლა დაწვრილებით ცნობებს გადმოგვცემენ ამ ბრძოლის შესახებ.

16 გიორგობისთვეს, დილა ადრიან, სათარ-ხანს შეატყობინეს, რომ ეინუდ-დოულე აუარებელი ჯარით თავრიზს უახლოვდებაო. სათარ-ხანი მყისვე შეუდგა თავდარიგს. ბრძოლის დაწყებამდე სათარ-ხანმა დაიარა ყველა პოზიცია, სადაც მას მებრძოლნი ალტაცებით ეგებებოდნენ. ჯარის ერთსულოვნებამ კარგი შთაბეჭდილება იქონია სათარ-ხანზე. სჩანდა, რომ თითეულ მებრძოლს გაეთვალისწინებინა თავისი მდგომარეობა და მტკიცედ გადეწყვიტა ებრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდის. ქალები და მცირე წლოვანნი, ერთი სიტყვით, ისინი, ვისაც იარაღის ტარება არ შეეძლო, მუხლ-მოდრეკილნი შესთხოვდნენ უზენაესს გამარჯვებას. შუადღის ორ საათზე ქალაქიდან შეამჩნიეს მტრის მოწინავე რაზმის, ლიახოვის ყაზახების მოახლოვება. მას მოჰყვა კავალერია და არტილერია ზარბაზნებით, ქალაქიდან ვერსნახევარზე არტილერია დაბანაკდა და მოემზადა სასროლად. 3 საათზე გავარდა პირველი ზარბაზანი, რის შემდეგაც სათარხანის 9 შეომარი აღმოჩნდა მკვდარი და დაჭრილი. ბრძოლის დაწყებისას სათარხანი მარტო იგერიებდა მტერს, მაგრამ მალე ბრძანება გასცა, ჯარი ქალაქს გარედ გასულიყო იერიშის მისატანად. წინამძღოლის ბრძანება დაუყონებლივ იქნა შესრულებული. მომზადების შემდეგ, სათარ-ხანმა დაიარა თითეული ნაწილი ჯარისა, აუხსნა ყველას მომავალ შებრძოლების მნიშვნელობა და თან დასძინა: ძმებო, ერთი საათის შემდეგ გადაწყდება ჩვენი ბედი. ან გავიმარჯვოთ ან ერთად დავიხოცნეთ, გაუმარჯოს. პასუხად გაისმა მებრძოლთა ძლიერი ხმა: „გაუმარჯოს სათარ-ხანს, გაუმარჯოს!" როდესაც სიწყნარე ჩამოვარდა, სათარ-ხანმა ბრძანება გასცა, სალოცავად მომზადებულიყვნენ. ლოცვის შემდეგ სათარ-ხანმა გაჰყო ჯარი სამ ნაწილად. უმთავრესი ძალა ჯარისა თავისთან დაიტოვა, დანარჩენი დაუნაწილა ბაგირ-ხანს და სტუდენტს შეიხ-სალიმს. გადაწყვეტილი იყო ნიშნის ხმაზე სამ მხრივ შეეტიათ მტრისთვის. ნიშანზე სათარ-ხანის ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა შაჰის ჯარზე. ეინუდ-დოულე არ მოელოდა, რომ სათარ-ხანი სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშს მიიტანდა მასზე და ამიტომ ვერ მოასწრო

ბრძანების გაცემა, რომ მისი ჯარი იერიმის ნაცვლად თავის დაცვას შესდგომოდა: მისი მოწინავე რაზმები აირივნენ და უთავბოლოდ იწყეს უკან დახევა. ეს კარგად გამოიყენა სათარ-ხანმა და ხელახლად მიიტანა მძლავრი იერიში. ეინუდ-დოვლეს ჯარმა ვერ შესძლო წინააღმდეგობა და იბრუნა პირი გასაქცევად. როგორც არ ეცადა ეინუდ-დოვლე შეეჩერებინა თავისი უკუქცეული ჯარი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ბოლოს იძულებული იყო, თვითონაც გაქცეულიყო. ლიახოვის ყაზახთა გუნდით გარშემორტყმული შაჰის ჯარის ბელადი სამარცხვინოდ მიჰქროდა ბრძოლის ველიდან, თავისუფლებისთვის მებრძოლთა ყიჟინით გაცილებული. სათარხანს ჩაუვარდა ხელში სამხედრო მასალა, სურსათი და 12 ზარბაზანი. დაახლოვებით ორივე მხარემ ერთად დაკარგა 2,000 კაცი. რომელთა რიცხვებში ნახეს 67 გადაცმული ქალი. ამ სურათის დანახვით სათარხანს და მებრძოლთ თვალები აცრემლათ. დიდიამბით შევიდა ძლევამოსილი ჯარი თავრიზში. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. (ვ. მ.)

# წერილები

**სოფ. ყალამშა** (ბორჩალოს მაზრა). ამ სოფელში არსებობს წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა. მთელი ხარჯი სკოლისა და მოსწავლეთათვის საჭირო სასწავლო ნივთებისა წერა-კითხვის საზოგადოებას აქვს ნაკისრი. აქაურ მკვიდრს დარჩენია მხოლოდ ერთი, რომ სკოლაში შვილი გაგზავნოს, მაგრამ ამაშიაც დიდ გულცივობას და ჯიუტობას იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა აქ უკვე 3—4 წელიწადი არსებობს, ხალხს ოდნავადაც არ შეუგნია მისი მნიშვნელობა-საჭიროება! აქაური ხალხი, როცა ბავშვს სკოლაში ჰგზავნის, იმდენი სწავლის შეძენის ინტერესი არა აქვს, რამდენიც ის, რომ ზამთარში ცუდად მყოფ ბავშვების გამაბეზრებელ ცელქობას ნახევარი დღით მაინც მორჩეს. ამისათვის, დადგება თუ არა მუშაობის ხანა, ან გაჩნდება თუ არა რაიმე სახავშვო საქმე, იგი სრულიად ატოვებინებს ბავშვს სწავლას ან 2—3 კვირით აცდენს და მერე ისევ უშვებს. ამ გვარ პირობებში მასწავლებელს მეტად უძნელდება სწავლის რიგიანად დაყენება, რისთვისაც სკოლა თავის დანიშნულებას ჯეროვანად ვერ ასრულებს

ამ სკოლაში სწავლების ნორმალურად დაყენებას ხელს უშლის აგრეთვე ის გარემოება, რომ სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს და მოთავსებულია წ. კ. საზოგ. ხარჯზედვე ნაქირავებ მოუწყობელ შენობაში. თითქმის ორი წელიწადია, რაც აქ სკოლის შენობის აშენება გადაუწყვეტიათ: ყვლის მექარხნეს ბ-ნ ნიკო კეზელს შენობის ასაგები მასალა და ხარჯი უკისრია, ყალამშელებს კიდევ თავიანთ მხრივ ამ მასალის მოტანა. ამას გარდა უთმობენ საერთო ადგილს ძველი დუქნით. მას აქეთ კარგა ხანი, კეზელმა თავისი დაპირება სისრულეში ვერ მოიყვანა. ხალხს კი ყოველ დღე სკოლის შენობის დაწყების მოლოდინის გამო ზემოაღნიშნული დუქნი გაუქირავებელი დარჩა.

ერთის მხრივ, ამ გარემოებამ და, მეორე მხრივ, ერთ სომეხ-ვაჭრის წინადადებამ ამ დუქნის იჯარით აღების შესახებ გავლენა იქონია და ხალხში მოლაპარაკება დაიწყო, რომ წ. კ. საზოგადოებაზე გადაცემული სახლი და ადგილი წელიწადში 200 მ. ზემოხსენებულ ვაჭარს დაუთმონ (სამიკიტნოს გასახსნელად). ბევრმა აგიტაციაც დაიწყო სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოების წინააღმდეგ. ხალხიც მეტაცედ ადგება მათ რჩევას და სურს სასკოლო ადგილი სამიკიტნოს დაუთმოს! მართალია, 200 მან. იმისთანა ღარიბ სოფლისათვის, როგორიც ყალამშაა, დიდი დახმარებაა, მაგრამ ამასთანავე ნუ დაავიწყდება ხალხს, რომ ეს სამიკიტნო მათ უნდა შეინახონ, რაც თითქოს კომლს არა უმცირეს 10—15 თუმნისა დაუჯდება. დღეს ყალამშაის ხალხი შედარებით ფხიზელია, აქ ქეიფი და ლოთობა იშვიათი მოვლენაა, რაც, ჩემის აზრით, აიხსნება იმით, რომ ამ სოფელში ერთი რომ ღვინო არ მოდის და მეორე ის, რომ სამიკიტნო დუქანი არ არსებობს. დაარსდება თუ არა სამიკიტნო, ამ ნახევრად ცუდად დროს გამტარებელ ხალხისათვის მუდმივი თავყრილობის და გართობის ადგილი შეიქმნება. ამას კი, როგორც ვიცით, ძალაუნებურად ქეიფი და ლოთობა მოჰყვება. ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ამ სამიკიტნოს გახსნით ადვილი შესაძლებელია, სკოლა დაიხუროს, ხალხმა დაჰკარგოს უსასყიდლო სწავლა-აღზრდა და უარეს სიბნელეში გაეხვიოს. და ეს იმ დროს, როცა ბ-ნ კეზელს, როგორც ისმის, უკვე განუზრახავს თავის დანაპირების ამ მოკლე დროში შესრულება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყალამშელებს აგრე რიგად არ აებნევათ გზა-კვალი, რომ ეს უბრალო შეცდომები ვერ შეიგნონ, ბნელეთის მოციქულებს აჰყვნენ და კარზედ მომდგარი ბედნიერება—ბავშვების სწავლა-აღზრდა უბედურებაში—სამიკიტნოში გასცვალონ!

**დაინტერესებული.**

**ქსნის ხეობა** (დუშეთის მაზრა) 6 დეკემბერს საღამოს ეს 9 საათი იქნებოდა, აქაურმა ბოქაულმა ცნობა მიიღო, რომ ცნობილი გაყაჩაღებული რაზმელი ნიკა სუხაშვილი ტოტოშაშვილი იმყოფება სოფ. ბაკაკურში. მაშინვე წავიდნენ, მისულან თუ არა, დაუნახავთ, რომ ყაჩაღი მირბის უსროლიათ და მარჯვენა ხელზე ყაჩაღისთვის ცერი მოუწყვეტიათ, სიმწარისაგან თოფი გაჰვარდნია, გადამხტარა ხევში და რევოლვერით სროლა დაუწყია. საღამოს 10 საათიდან დილის 7 საათამდის არ დანებებია, მაგრამ დილით მაინც მოუკლავთ. როდესაც ნახე, თექვსმეტი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მკვლელს აღმოაჩნდა ყაზახის თოფი 70 ტყვით, ნაგანის რევოლვერი 25 ტყვით და ხანჯალი. ჯიბეში უნახეს მამასახლისის ბეჭედი, ცარიელი ბლანკები და ახალ-დროის წიგნაკები.

**გლეხი ვანო.**

# რუსეთი

**„შავრაზმელების“ შორის.** ამ რამდენიმე ხნის წინად შავრაზმელებმა სინოდს მიმართეს თხოვნით, მემარცხენე პრესსის თავგასულობა ალაგმეთ, რადგან სამინისტრო მათ ყურადღებას არ აქცევსო. როგორც სჩანს, სინოდს ვერ გაუმართლებია შავრაზმელების სურვილი, სწრაფად ვერ აუსრულებია მათი წადილი, ამიტომ მათ პრემიერ-მინისტრისთვის უთხოვნიათ, მიიღეთ მხნე ზომები მემარცხენე პრესსის წინააღმდეგ, რადგან „მემარცხენე პრესსა ხალხის გონებას რყვნის და ანტისახელმწიფოებრივ იდეებს ავრცელებსო“, შავრაზმელების თხოვნას შეერთებია თავადაზნაურობის ერთი ჯგუფი. მემარცხენე პრესსის ალაგმვას შავრაზმელები სთხოვენ აგრეთვე ხელმწიფეს დეპეშით.

**სოფლის მწერლების კრება.** შინაგან საქმეთა მინისტრთან სოფლის მწერლების წარმომადგენელნი შუამდგომლობენ, ნება მოგვეცით 1909 წელს გაზაფხულზე გავმართოთ სრულიად რუსეთის სოფლის მწერალთა კრებაო. კრების მიზანია—განხილვა მწერლების უფლებრივ და მატერიალურ მდგომარეობისა.

**ბეჭდვითი სიტყვის ახალი კანონპროექტი.** ბეჭდვითი სიტყვის ახალ კანონპროექტს ძალიან დაუღონებია პეტერბურგის მესტამბეები. მესტამბეები უკვე შესდგომიან კანონ-პროექტის შესახებ წერილის შედგენას. წერილი წარედგინება სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს წევრებს. კანონ-პროექტი წერილში განხილულ იქმნება ბეჭდვითი სიტყვის მრეწველობის დაცვის თვალ-საზრისით.

**იაროსლავის გუბერნიის მონასტრები და ეკლესიები.** იაროსლავის სასულიერო კონსისტორიას გამოუცია წიგნი ამ სათაურით: „მოკლე ცნობები იაროსლავის გუბერნიის მონასტრებისა და ეკლესიების შესახებ“. ამ წიგნიდანა სჩანს, რომ მთელ გუბერნიაში 25 მონასტერი ყოფილა. მონასტრებს საკუთრებად 7,044 დესეტინა მიწა ჰქონიათ, ფულად 2,512,125 მანეთი; ამას გარდა ჯამაგირად ბერებს ეძლევათ 10,068 მანეთი. ეკლესია ყოფილა 915, ეკლესიებს საკუთრებად 48,930 დესეტინა მიწა ჰქონიათ, ფულად 7,474,840 მანეთი, ჯამაგირად ეძლევა 134,439 მანეთი. ხულ მონასტრებს და ეკლესიებს ფულად 10 მილიონ მანეთზე მეტი ჰქონიათ, მიწად 50,000 დესეტინაზე მეტი; ამის და მიუხედავად ჯამაგირად კიდევ იღებენ 145,000 მანეთს.

**სამხედრო საიდუმლოება.** საზღვაო მინისტრს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სამინისტროს დადგენილებანი სამხედრო საიდუმლოებად ჩაითვალოს და მისი გამავრცელებელნი სასტიკად დაისაჯნენ. ამ რიგად, თუ შეიწყნარეს მინისტრის შუამდგომლობა, საზღვაო სამინისტრო საბოლოოდ ბურუსში იქნება გახვეული.

**„ოდესის კონვენტის“ საქმე.** როგორც დეპეშებიდან უკვე ვიცით, ოდესაში სამართალში მისცეს 1905 წლის ქალაქის გამგეობის წევრები. მათ აბრალებენ ქალაქის გამგეობასთან „კონვენტის“ დაარსებას. „კონვენტის“ მიზანი იყო, ებლანდელ წეს-წყობილების დანგრევა. „კონვენტი“ დახმარებას უწევდაო პოლიტიკურ დამნაშავეებს და ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოხელეებს. „კონვენტმა“ ამ აზრით ერთი მილიონი მანეთი დახარჯაო.

**ბოიკოტის აგიტაცია.** მოსკოვში დაუარსებიათ ლიგა, რომელშიაც სლავიანე ის სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელი შესულა. ლიგის მიზანია—ავსტრიის საქონლის ბოიკოტი განახორციელოს რუსეთში. ლიგას, სხვათა შორის, გადაუწყვეტია, დრო გამოშვებით გამოსცეს ბროშიურები, სადაც ბოიკოტის სარგებლობა იქნება დაცული.

**„ჭეშმარიტ რუსების“ შუამდგომლობა.** „ჭეშმარიტ რუსთა“ მთავარ საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს გზათა მინისტრის წინაშე, ამურის რკინის გზის აშენება გადაეცით „ჭეშმარიტ რუსა“ ინჟინრების კავშირს, რომელნიც „ჭეშმარიტ რუსა“ მუშებს დაიქირავებენო. ამასთან „ჭეშმარიტი რუსები“ თხოულობენ, სხვა რკინის გზების საქმეებიც ჩვენ გადმოგვეცითო.

**ებრაელები.** პეტერბურგის სახელოსნო გამგეობა ამ ბოლო დროს ხელოსნების ცეხებიდან სისტემატიურად ითხოვს ებრაელებს. ეხლახან გამგეობას ცეხიდან კიდევ 75 ხელოსანი ებრაელი დაუთხოვნია. ამასთან ებრაელ ხელოსნებს პეტერბურგიდანაც ასახლებენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

(ფონელის წერილის გამო*)

„ალის“ მეექვსე ნომერში დაბეჭდილია „ფონელის“ წერილი პასუხად „აქაურს“, რომელშიაც ავტორი მიწოდებს მე პოლიციის აგენტს და ამბობს: „ბ. აქაურო, თქვენ რა გქონიათ იმ კაცებს, რომლებსაც წევრებათ იწერა ენდოდათ ამხანაგობაში? დაუსკდით პოლიციის მოწყრილობით ხელში“ და სხ. ხწორედ აქ მოყვანილ სტრიქონების გამო მე ვუწოდებ „ფონელს“ გზა დაბნეულს, რადგან მას ჰგონია, რომ „ამირანის“-მე 153 ნომერში მოთავსებულ წერილის ავტორი მე ვარ. ვარწმუნებ ფონელს და ყველა იმის ამხანაგს, რომ ეს წერილი მე არ მეკუთვნის და არც გავიზიარებ უპასუხოდ ფონელს აქაურის მაგიერ თუ ამაში კიდევ რაიმე აქვს მეტანს „ფონელი“, მაშინ მივმართავ ყოფილ „ამირანის“ რედაქციას სიმართლის აღსადგენად. ახლა კი მინდა, როგორც თავმჯდომარემ მამინდელ კრებისა, სიმართლე გავაცნო „ალის“ მკითხველებს, რომ თვით მათ დასდონ მსჯავრი, რამდენად სამართლიანად მიწოდებს მე ბ-ნი ფონელი პოლიციის აგენტს.

ჩვენის რჩევით დაარსდა მორაპნის საკრედიტო ამხანაგობა, რომელშიაც მეიძლებოდა მიგვეღო მხოლოდ საქარის, კლდეეთის და მორაპნის საზოგადოების წევრნი. ვინც გაცნობილია საზოგადოებ საკრედიტო ამხანაგობის წესდებას, ის ადვილად მიხვდება, თუ რატომ არ შეიძლება წევრებად მიგვეღო მსურველნი მორაპნის მაზრის სხვა საზოგადოებიდან ანუ ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებიდანაც. ახლა თუ იხე, ამ ამხანაგობის წესდება ნებას არ გვაძლევს, გარეშე ზემოაღნიშნულ სამ საზოგადოებისა, ვინმე მივიღოთ. თავის თავად არც ერთი დაწესებულება, არც ერთი ამხანაგობა არ დაარსებულა და ამ ჩვენი ამხანაგობის დაარსებულ რამდენიმე წევრს უნდა ეკისრნა. საკრედიტო ამხანაგობის წესდება ნებას გვაძლევდა, ოცი წევრიც რომ ყოფილიყო, დაგვეარსებინა ამხანაგობა და ჩვენ კი, როგორც თვითონ ფონელი ამბობს, ას წევრზედაც მეტი გვყოლია. ეს ასი წევრი ითვლება დამფუძნებელ წევრად მორაპნის საკრედიტო ამხანაგობისა. ას წევრში მარტო 30 თუ 27 მეიკრიბაო, ამბობს „ფონელი“ და ესენი გახდნენ ბატონ-პატრონი ამხანაგობისაო. თუ გინდა ამაზედ მეტიც არ ყოფილიყო, რა არის აქ გასაკვირველი და დასაგმობი? მაშ ვინ უნდა გამხდარიყო ამხანაგობის ბატონ-პატრონი? არა წევრნი? მემთხვევით აქ მყოფნი? თუ ჩვენ ჩვენი თავის პატრონობას გვიკრძალავთ, თქვენ ვინ ბრძანდებით, ბ-ნო ფონელო, რომ გინდათ დაგვეპატრონოთ? აბა, რომელიმე პოლიციის აგენტის სერგილი ამაზე მეტს წავა? თვითონ თქვენ დაუფიქრდით რაებს სწერთ. თუ ამბობთ იმაზედ, რომ ას წევრში 30 წევრი ესწრებოდაო მეაფლეთ, ოცი წევრიც რომ ყოფილიყო, კრება წესიერი იქნებოდა, მაგრამ ეს ხომ თქვენც კარგად იცით, რადგან თქვენმა ამხანაგობის დამფუძნებლებმა ამ მხრივ ვერ გაზჯრა. შემდეგ ფონელი ამბობს, 27-მა კაცმა, უარი უთხარით ახლად მოხულ 35 კაცს. თქვენ დამწუხარდით, ბ-ნო ფონელო, ამის დამაწმუნებელი საბუთები თქვენმა ამხანაგებმა თვითონ იპოვნეს ხელში. ჩვენ ხელით არის ის ქაღალდები სადაც თქვენმა მეგობრებმა ჯერ ითხოვეს წევრად მიღება და მერმე უარი განაცხადეს წევრობაზე, ამ საბუთებიდან სჩანს, რომ მხოლოდ 20 კაცი თხოულობდა წევრობას, რომელმაც მერმე უარი განაცხადა. მერე ვინ არიან ესენი? უმეტეს ნაწილს მათგან წევრობა არ შეეძლო და ვერც ჩვენ მივიღებდით ამხანაგობაში. ჩვენმა ამხანაგებმა ეს კარგად იცოდნენ. თქვენც უნდა გეცოდინებოდათ ეს გარემოება და თუ არ იცოდით, თქვენი არ ცოდნა ჩემი დანაშაული არ არის, თუ ჩაიდენთ და განზრახ მაინც სწერთ ამას, ალბად თქვენ გინდათ უცნობ მკითხველებთან მაინც წინდათ გამოიყვანოთ თქვენი მეგობრები. მაგრამ ვერც აქ გამოვალთ ფონს, ბ-ნო ფონელო. აბა ჩაიკითხეთ სია იმ პირებისა, რომელნიც თხოულობდნენ წევრობას: ვარლამ გორდაძე—იმერეთის მაზრიდან, პლატონ კიკნაველიძე—ქუთაისის მაზრიდან ალექსი მახარაძე არ ვიცით, რომელ გუბერნიიდან არის, ზემოდ ქაიშაძე ვერ გავიგეთ. რომელ საზოგადოებიდან არის, ალექსანდრე ონიანიძე ძე ჩიხლაძე—მამა ამიხო ონიანიძე დამფუძნებელი წევრია ამ საზოგადოებისა და მისგან განუყოფელი შვილი ცალკე თხოულობდა წევრობას. შუშანა ხრული წლოვანიც არ არის, მარკოზ სავვითის ძე ჭანკოტაძე—მამა ჰყავს, პორფილე მელაძე—სხვა საზოგადოებისაა, ნესტორ ბენიაძე—მამა ჰყავს, არჩილ ქეშიტი—მამა ჰყავს და სხვანი. სანიმუშოდ ესეც კმარა, რომ მკითხველმა აშკარად დაინახოს, თუ რა მიზნით უნდა მეკრებილიყვნენ ეს პირები, რომელთა მიღებაც ამხანაგობაში შეუძლებელი იყო.

შემდეგ ფონელი ბრძანებს, პოლიციის მოწყრილობით დაგვიხვდით ხელშიო. დიახ, მაზრის უფროსმა მოიწერა ბარათი, როგორც რწმუნებულს მორაპნის საკრედიტო ამხანაგობისას, რომელშიაც ის მაფრთხილებდა და ურების მეცნის პასუხის-მგებლობას მადებდა კისერზე. მერე რა მოხდა ამით, ნუ თუ ასეთი გაფრთხილება ამ დროში მალიან გასაკვირველია? ჩემ ადგილას რომ თქვენ ყოფილიყავით, ხომ თქვენც მოგივიდოდათ ამ ნაირი ბარათი! სამართლიანი, რადა გეშველებოდათ. ხომ პოლიციის აგენტის სახელს დაიმსახურებდით! ეს მოწყრილობა მე მხოლოდ კერძო ლაპარაკში წაუკითხე კ. ჩხეიძეს და იმ დროს იქ მყოფ ზოგიერთ პირებს, თორემ კრებისთვის არც კი გამიცვნია ამ წერილის შინაარსი და კრებისთვისაც რომ წამეკითხა, არც არაფერი დანაშაული ეს იქნებოდა. მაგრამ ხელობს სიმართლე აღიარეთ, ბ-ნო ფონელო. თქვენ ალბად ერთი მაინცა ბრძანდებით, რომელთაც უნდოდათ კ. ჩხეიძის შემწეობით გადაეთქვლათ იმ დღის კრება, რომ რამე ნაირად ეს ამხანაგობა დაშლილიყო. ეს ხომ თვით კ. ჩხეიძემ აღიარა კრებაზე. ამას თქვენ უარს ვერ ჰყოფთ და ამის ნება არ მოგეცით, ამიტომ მიწოდებთ მე პოლიციის აგენტს. თქვენგან მეტრადებულ ვაჭრების ბანკხაც მეხნდ ბ-ნი კ. ჩხეიძე კრებაზე და ჩემ ვინაობასაც ბევრად უფრო უნამუსოდ, ვიდრე თქვენა გაქვთ მოხსენებული თქვენი წერილის ბოლოში, მაგრამ ამის და მიუხედავად, კ. ჩხეიძე თვით იძულებული გახდა კრების გახსნილიყო. ალბად კარგად სცნობენ თქვენ მეგობარ ჩხეიძესაც. უნდა მეცნობო აგრეთვე, რომ ზოგიერთი პირი, რომელნიც მემდგან მიეცხან და ბუნდოვანად უხსნიან თქვენი მეგობრები კრების მიზანს და ეჭირიდნენ, ცილი-წამებას, მეორე დღეს ფიცოდნენ, რომ შეცდომით შევიყვანენო. რომ დაწერილადაც აცნობეთ იმ დღეს კ. ჩხეიძის არა საკაცობო მოქმედება, ამას ერთ წერილში ვერ მოვათავსებ და არც სურვილი მაქვს ამისა.

მე მგონია, რაცა ვთქვი, ისიც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად სამართლიანია ბ-ნ ფონელის ნაამბობი იმ დღევანდელ კრების შესახებ, რომელზედაც მე თავმჯდომარეობდი. რაც შეეხება ფონელის წერილს იმერეთის ამხანაგობის შესახებ, ამის საპასუხოდ მე ჩემ თავს არ ვთვლი ვალდებულად, ამაზედ თუ სურვილი აქვს „აქაურმა“ უპასუხოს, თუმცა აქაც ბევრ სიცრუეს ცნობას მიაწოდებს საზოგადოებას. თუ არ მოისვენებენ ფონელები, მეიძლება მალე შემთხვევა მომეცეს ამის გამომჟღავნებისაც. ახლა ვიტყვი მხოლოდ, რომ სიცრუეს ამბობთ, ბ-ნო ფონელო, ვითომ ბ-ნმა კ. ჩხეიძემ მოიწვია საზოგადოება ანგარიშის ჩასაბარებლადაო: კ. ჩხეიძეს ჯერ არ მოუწვევია საზოგადოება, თორემ ერთი წევრთაგანი მეც ვარ იმერეთის ამხანაგობისა და არავითარი ბარათი არ მიუღია არც მე და არც სხვებს. ნუ ადარებთ აგრეთვე ფარდას ხაზინადარს იმერეთის ამხანაგობისას. ნუ თუ ის ვერა ჰგრძნობს, რომ ამხანაგები მის ხმარობენ მეიძლება კაპიკიან მარკის მაგიერ და ავირამი ორჯელ ამოყოფინებენ ხელმე თავს, სადაც საჭიროა, „სადაიღხლოთ“. იხა ხელობს, ბ-ნო ფონელო, ამ გარემოებას დაუკვირდით თქვენ და თქვენი ამხანაგები და მიხვდით, რომ ყოველივე საზეალება არ იხმარება მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

**იოსებ გუნცაძე.**

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა იმ მიზეზით, რომ წერილი გაგზავნილი იყო „ალის“ რედაქციაში დასაბეჭდათ, მაგრამ „ალის“ რედაქციამ არ ვიცი, რა მიზნით, არ დაბეჭდა ეს წერილი და ორი კვირის შემდეგ უკანვე დამიბრუნა.

**ავტორი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ი. ს. აგლაძე.**


# განცხადებანი

გეომეტრი და მარკშაიდერი

**გ. ს. ასათიანი**

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა და სხვა საქალაქო შენობების პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—6.—67)

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საკუთესოდ მოვაწყე

**ფეხსაცმელების სახელოსნო**

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა, N 28.

პატივისცემით

(20—6.—7) **ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

(ვერტიკალურად: სრული კმაყოფილება მუშტარს · სრული კმაყოფილება მუშტარს)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ სნეულ. მკურნ. იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ... დილით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ილიაკის ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აკუჩლის ქუჩა, N 41, სახელიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ა. ი. აშიანცი** ქუთაისის ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საუნივერსიტეტო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—ვკ.—15)

**ექიმი უ. მ. ჩიქოვანი**

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—24)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა ვერედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათინიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ.ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. დ. პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 3—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—86)

# „გრამოფონი“

გოლოვინის პროს., № 9. ტფილისის განყოფილება გოლოვინის პროს., № 9.

**ერიდეთ სიყალბეს!!!**

ყურადღება მიაქციეთ აქ დახატულ საფაბრიკო ნიშანს, რომელიც ყველა ჩვენ გრამოფონსა აქვს!!!

**გრამოფონი** საუკეთესო გასართობია სახლში!!! მღერის, ლაპარაკობს, უსტვენს, თამაშობს და სხვ. შეძლებას იძლევა ყოველ დროსა და ჟამს, ყური დაუგდოთ საუკეთესო მომღერლის ხმას და სხვა და სხვა კონცერტებს. ყველას შეძლებას აძლევს, გაინვითაროს სმენა და გაიმდიდროს მუსიკალური ცოდნა. შეძლებას აძლევს ყველას, გამართოს თავის სახლში საცეკვაო საღამოები. აღვიძებს მუსიკისადმი სიყვარულს. სასარგებლოა არა მარტო როგორც გასართობი, არამედ აღზრდის საქმეშიაც. იგი სჯობია ჩვენი მოლაპარაკე მაშინებისა.

**ფასები მთელი რუსეთისთვის, კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ერთნაირია —შეუვაჭრებლად.**

ყველა ფირფიტა, რომელიც ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებზე იაფად იყიდება, ან ყალბია ან ძველი, უკვე ნახმარი, და ასეთ ფირფიტებისთვის პასუხის-მგებლობას ვერ ვკისრებთ.

**მიღებულია აპარატები სულ ახალ კონსტრუქციისა** საუკეთესო მექანიზმით და ახალ მოდელებთან.



**მიღებულია აუარებელი გურული ხმები.**

მოითხოვეთ ნახატი კატალოგები აპარატებისა და სია ფირფიტებისა, რომლებიც იძლევა და იგზავნება უფასოდ.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

**ვისაც ეინტერესება და სურს,**

**საზოგადოება სთხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9.** სადაც აპარატებს დაუკრავენ და შეუძლიანთ მუქთად მოისმინოს.

**აპარატები იყიდება სამი წლის პასუხის-მგებლობით!!!**

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ის ფირფიტები, რომლებზედაც გადაღებულია ნამღერი მთელ დედამიწაზე ცნობილ მომღერალ ქალებისა და კაცებისა. ამ მომღერალთა გვარები და ფოტოგრაფიული სურათები დაბეჭდილია კატალოგებში.

**ამა წლის 1 დეკემბრიდან გაიყიდება ორ-მხრივი ფირფიტები ადგილობრივ ენებზე. პატარა ფირფიტა 75 კაპ. და გრანდი 1 მ. 50 კ. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ეს მხედველობაში მიიღოს.**

**ერიდეთ სიყალბეს!**

(15—6.—9)


სტამბა „სინათლე“. დიდი ვანქის ქუჩა, № 12.